საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია
სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის
განყოფილება

ანანო ბერაძე, ამირან ბერძენიშვილი,
ნიკა ნაკაიძე, ტატა ოქროჯანაშვილი,
კახა ქეცბაია

აკადემიური თავისუფლება სტუდენტურ ფოკუსში

(აკადემიური თავისუფლების კონტექსტი და
სტუდენტების სხვადასხვა ჯგუფის პერსპექტივები)

რედაქტორი: **ნუცა კობახიძე**

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2024

მონოგრაფიას საფუძვლად უდევს 2023 წელს თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე *მიზნობრივი სამეცნიერო პროექტის* ფარგლებში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის ანგარიში, რომლის პრეზენტაცია თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2024 წლის 22 თებერვალს ჩატარდა.

რედაქტორი: ნუცა კობახიძე,
ჰონგ კონგის უნივერსიტეტის
განათლების ფაკულტეტის
ასოც. პროფესორი,
შედარებითი განათლების ცენტრის
დირექტორი

რეცენზენტი: ფლორა ესებუა,
სოციოლოგიის დოქტორი (კავკასიის
უნივერსიტეტი)

ყველა საავტორო უფლება დაცულია. ამ გამოცემის რომელიმე ნაწილის ნებისმიერი ფორმით გამოყენება ავტორთა წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია.

© ა. ბერაძე, ა. ბერძენიშვილი, ნ. ნაკაიძე,
ტ. ოქროჯანაშვილი, კ. ქეცბაია, 2024

ISBN 978-9941-33-749-9

https://doi.org/10.52340/9789941337499

Academy of Philosophical Sciences of Georgia
Department of Sociology and Social Psychology

Anano Beradze, Amiran Berdzenishvili,
Nika Nakaidze, Tata Okrojanashvili,
Kakha Ketsbaya

ACADEMIC FREEDOM IN GEORGIA: FOCUS ON STUDENTS

(The context of academic freedom and perspectives of different student groups)

Edited by Nutsa Kobakhidze

Publishing House **"UNIVERSAL"**
Tbilisi 2024

სარჩევი

Abstract **6**
წინათქმა **8**
ავტორთა შესახებ **10**
ძირითადი მიგნებები **12**
შესავალი **17**
1. მეთოდოლოგია და დიზაინი **22**
1.1. კვლევის მიზანი და ამოცანები 22
1.2. მეთოდოლოგია 23
2. აკადემიური თავისუფლების თეორიული კონტექსტი **28**
2.1. ლიტერატურის მიმოხილვა 28
2.2. აკადემიური თავისუფლების სოციოლოგიური კონცეფციები 38
3. კვლევის შედეგები **41**
3.1. რაოდენობრივი კვლევის შედეგები **42**
3.1.1. სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები 43
3.1.2. კერძო უნივერსიტეტების სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები 47
3.2. თვისებრივი კვლევა **54**
3.2.1. აკადემიური თავისუფლების კონტექსტი და სტუდენტების სხვადასხვა ჯგუფის პერსპექტივები სირღმისეული ინტერვიუს მიხედვით 54
3.2.2. ექსპერტული ინტერვიუს შედეგები 64
ა) აკადემიური თავისუფლების შესახებ 64

ბ) სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების შესახებ 68
გ) ქართულ უნივერსიტეტებში არსებული სტდენტთა აკადემიური თავისუფლების ხარისხისა და დონის შეფასება 71
დ) სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების ინსტიტუციური, ორგანიზაციული და კონტექსტუალური შეზღუდვები და მათი გამოსწორების სავარაუდო გზები 74
3.2.3. დოკუმენტების ანალიზი 76
დასკვნა 90
რეკომენდაციები 92
გამოყენებული ლიტერატურა 94
ცხრილები, დიაგრამები 99
ცხრილი #1. 100
დიაგრამა 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 1. 102
დიაგრამა 2a, 3a, 4a, 5a, 6a, 7a, 8a, 9a, 10a, 1a. 112
ცხრილი #2. 122
ექსპერტთა სია 125
გაანალიზებული დოკუმენტური მასალა 127

Anano Beradze, Amiran Berdzenishvili,
Nika Nakaidze, Tata Okrojanashvili, Kakha Ketsbaya

ACADEMIC FREEDOM IN GEORGIA: FOCUS ON STUDENTS

(The context of academic freedom and perspectives of different student groups)

Abstract

This empirical study was conducted by scholars and students at the Department of Sociology at Ivane Javakhishvili Tbilisi State University in 2023. It explores students' academic freedom—their opinions and practices—one of the most crucial aspects of today's academia, across 5 public and 5 private universities based in Tbilisi, Georgia.

Methodologically, the study employed a mixed-methods approach, which surveyed 800 students (400 from private and 400 from public universities) and interviewed 40 students. The study also included 15 expert interviews with professionals from diverse fields of studies.

The results of the research can be utilized by universities, educational institutions, and other interested parties seeking insight into the attitudes, expectations, and opinions of students regarding academic freedom of students.

The study revealed that students have a very limited understanding of what academic freedom is. In both public and private universities, issues such as self-censorship, latent

mechanisms of control and surveillance, favoritism, and bureaucracy hinder students from fully realizing their academic freedom. With few exceptions, most universities offer limited choices in selecting desired lecturers, as typically only one lecturer teaches certain subjects. Students also noted limited involvement in the management, organizational, and assessment aspects of the learning process. However, students generally did not identify problems regarding freely expressing their views, and in most cases, freedom of expression was protected. Similarly, students did not encounter significant obstacles in choosing research topics, supervisors, research methods, and literature.

Academic freedom of students remains an understudied topic in Georgia, and we hope that this research will make a significant contribution to scholarship in this area.

წინათქმა

კვლევის პროცესში შესწავლილ იქნა თანამედროვე უმაღლესი განათლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის - აკადემიური თავისუფლების სტუდენტური გაგება თბილისში მოქმედი სახელმწიფო და *კერძო უმაღლესი სასწავლებელების* მაგალითზე.

წარმატებული საგანმანათლებლო საქმიანობა დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა წარმოდგენა აქვთ საგანმანათლებლო სფეროს აქტორებს აკადემიურ თავისუფლებაზე, როგორ იყენებენ მას თავიანთ საქმიანობაში და რა გამოწვევების წინაშე დგანან ამ მხრივ.

აკადემიური თავისუფლება წარმოუდგენელია სტუდენტების თავისუფალი არჩევანის გარეშე. მაღალ აკადემიურ შედეგზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო სასწავლო და კვლევითი საქმიანობისათვის აუცილებელია აკადემიური თავისუფლებისადმი სტუდენტების დამოკიდებულების შესწავლა, რასაც კვლევა მთავარ ყურადღებას უთმობს.

კვლევის განხორციელების შედეგად შეიქმნა აკადემიური თავისუფლებისადმი სტუდენტების დამოკიდებულების ამსახველი წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც თსუ-ს სოციოლოგიის მიმართულების პროფესორებისა და სტუდენტების მიერ ჩატარებულ ემპირიულ სოციოლოგიური კვლევის შედეგებს ეფუძნება.

კვლევა ჩატარდა სოციოლოგიური გამოკვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით. კვლევის შედეგები (რომელიც, საბოლოოდ, სამეცნიერო ნაშრომის - სტატიის სახით გამოქვეყნდა) შესაძლებელია გზამკვლევად გამოიყენონ სხვადასხვა უნივერსიტეტის შესაბამისმა დაინტერესებულმა სტრუქტურებმა, მხარეებმა, როგორც საუნივერსიტეტო ასევე სხვა სფეროდან თავიანთი საგანმანათლებლო საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, აკადემიური თავისუფლებისადმი სტუდენტების დამოკიდებულებების, მოლოდინებისა და მოთხოვნების გასაცნობად და გასათვალისწინებლად.

სოციოლოგიის მიმართულების პროფესორებისა და სტუდენტების ჯგუფი, რომელმაც ზემოაღნიშნულ კვლევაში მიიღო მონაწილეობა მადლობას უხდის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელმძღვანელობას, რომელმაც მიზნობრივი სამეცნიერო პროექტების ფარგლებში მხარი დაუჭირა და თანადგომა აღმოუჩინა პროექტის განხორციელებას.

მადლიერი ვართ ყველა ექსპერტის, რესპონდენტისა და იმ პირების მიმართ, რომლებმაც ხელი შეუწყვეს კვლევის განხორციელებას.

მადლიერებას გამოვხატავთ წიგნის რედაქტორის, ჰონგ კონგის უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის, შედარებითი განათლების ცენტრის დირექტორის ნუცა კობახიძის მიმართ, რომელმაც ფასდაუდებელი პროფესიული დახმარება გასწია წიგნის გამოსაცემად მომზადებაში.

ავტორთა შესახებ

About the Autors

ამირან ბერძენიშვილი - ფილოსოფიის მეცნ. დოქტორი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების პროფესორი, ამავე მიმართულების ხელმძღვანელი. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

Amiran Berdzenishvili - Doctor of Philosophical Sciences. Professor of Sociology and Social Work at Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Academician at the Academy of Philosophical Sciences of Georgia.

კახა ქეცბაია - ფილოსოფიის მეცნ. დოქტორი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ასოცირებული პროფესორი. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

Kakha Ketsbaya – Doctor of Philosophical Sciences. Associate Professor of Sociology and Social Work at Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Academician at the Academy of Philosophical Sciences of Georgia.

ანანო ბერაძე - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი.

Anano Beradze - Undegraduate Student in of Sociology at Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

ტატა ოქროჯანაშვილი - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი.

Tata Okrojanashvili - Undegraduate Student in of Sociology at Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

ნიკა ნაკაიძე - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროგრამის დოქტორანტი.

Nika Nakaidze - PhD student in sociology at Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

ძირითადი მიგნებები

თბილისში არსებულ სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სასწავლებლებში - უნივერსიტეტებში სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით მრავალი გადაუჭრელი პრობლემა არსებობს, რადგან სახეზეა თვითცენზურის, კონტროლისა და ზედამხედველობის ლატენტური მექანიზმების, კონფორმისტული, ფავორიტისტული კულტურის, ბიუროკრატიზმის და სხვა ნიშნები. ყოველივე ეს ხელს უშლის სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების რეალიზებას. რისთვისაც აუცილებელია თითოეულ სასწავლო დაწესებულებაში *სიღრმისეულად იქნეს შესწავლილი* სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების კონტექსტი, საუნივერსიტეტო ბიუროკრატიისა და სტუდენტების სხვადასხვა ჯგუფის პერსპექტივები და, საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს სათანადო რეაგირების მექანიზმების უზრუნველყოფა. კვლევის შედეგების მიხედვით:

- თბილისში არსებულ სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სასწავლებლებში აკადემიური თავისუფლების არსისა და მისი დაცვის მექანიზმების შესახებ სტუდენტების ინფორმირებულობის მაჩვენებლები საკმაოდ დაბალია.
- თბილისში არსებულ სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სასწავლებლებში, მცირე გამონაკლისების გარდა (რომელიც მთლიან სურათს ვერ ცვლის) პრობლემას წარმოადგენს სტუდენტების მიერ მათთვის სასურველი საგნის ლექტორის არჩევა, რადგანაც უმეტესწილად რომელიმე

საწავლო დისციპლინას მხოლოდ ერთი ლექტორი კითხულობს და სტუდენტის არჩევანი შეზღუდულია. საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტებს ვერ სთავაზობს ლექტორების ვრცელ სიას, საიდანაც არჩევანის გაკეთება იქნება შესაძლებელი. გარდა ამისა, არჩევითი საგნებისა და თავისუფალი კრედიტების რაოდენობა მთელ რიგ შემთხვევებში მინიმალურია.

- თბილისში არსებულ სახელმწიფო უნივერსიტეტებში სავალდებულო და არჩევითი საგნების და გამოცდების ჩატარების დროის დამთხვევას სტუდენტები თავიანთი აკადემიური თავისუფლების დარღვევად მიიჩნევენ.
- თბილისში არსებულ სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სასწავლებლებში *პრობლემურია სასწავლო პროცესის მართვისა და ორგანიზების საქმეში და შეფასების სისტემის შემუშავებაში სტუდენტების ჩართულობა.* პირველ კომპონენტში (მართვა და ორგანიზება) სტუდენტების ჩართულობის მაჩვენებელი მეორე კომპონენტთან (შეფასების სისტემის შემუშავება) შედარებით მაღალია, მაგრამ ამას უმეტესწილად ფორმალური ხასიათი აქვს.
- საკვლევი თემის, თემის ხელმძღვანელის, კვლევის მეთოდებისა და საჭირო ლიტერატურის არჩევის თავისუფლების მხრივ, თბილისში არსებულ სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სასწავლებლებში პრობლემები ნაკლებად იკვეთება. აკადემიური

თავისუფლების ამ კომპონენტს ეს უნივერსიტეტები სათანადოდ იცავენ და აკმაყოფილებენ.

- სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ბაკალავრიატის დონეზე ერთდროულად ორ პროფესიას (მეიჯორი, მაინორი) დაეუფლონ. ასევე ფართოა არჩევანი ბაკალავრიატის შემდგომ ეტაპზე მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობების თვალსაზრისით, ამ მხრივ, გარკვეულ პრობლემებს კერძო უნივერსიტეტების სტუდენტები აწყდებიან, რადგან აქ მოქმედი პროგრამების უმეტესობას მაინორ პროგრამები არ გააჩნია, რასაც უნივერსიტეტები ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებით ხსნიან. გარდა ამისა, სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებში ყველა სპეციალობას თავისი სამაგისტრო პროგრამა არ გააჩნია, რაც სტუდენტების აკადემიურ თავისუფლებას გარკვეულწილად ზღუდავს.
- კერძო უნივერსიტეტბში პრობლემურია სტუდენტების მიერ თავიანთი პუბლიკაციების, სტატიების, ესეების უნივერსიტეტების გამომცემლობაში დაბეჭდვა, რადგან ბევრ მათგანს გამომცემლობა არ გააჩნია, გარდა ამისა, პრობლემურია დამწყები მკვლვრების ურთიერთობა მკაცრ სარედაქციო და საგამომცემლო კონიუნქტურასთან.
- სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების სტუდენტებისთვის ნაკლებად პრობლემურია მონაწილეობის მიღება სხვადასხვა კონფერენციაში, ინტელექტუალურ და სპორტულ შეჯიბრებაში, სტუდენტურ კლუბებში გაწევრიანება ან კანონის

ფარგლებში ასოციაციების, კლუბების და სხვ. ჩამოყალიბება. თუმცა აქვე საგულისხმოა, რომ ხშირად უნივერსიტეტების მიერ ჩატარებულ ინტელექტუალურ და სპორტულ ღონისძიებებს სარეკლამო ან პრივატული ხასიათი აქვს და ნაკლებად არის მიმართული სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფაზე.

- კვლევის შედეგების თანახმად, სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების სტუდენტები თავიანთ უფლებებზე, მოვალეობებსა და აკადემიურ თავისუფლებაზე ინფორმაციას უმეტესწილად უნივერსიტეტიდან და ფაკულტეტიდან იღებენ, თუმცა ეს ინფორმაცია ამ სფეროში მათ გათვითცნობიერებაში საკმარისი არ არის, რადგან პირველი და მეორე კურსის სტუდენტებს თავიანთ აკადემიურ თავისუფლებაზე ღიად საუბარი უჭირთ.
- სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების სტუდენტების აზრის საჯაროდ და თავისუფლად გამოთქმისა და გამოხატვის თავისუფლება, მცირე გამონაკლისების გარდა, დაცულია. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ სტუდენტთა თვალსაზრისით, ცხადია, რომ უნივერსიტეტში თავისუფლების ეგიდით „ყველაფრის (რაც მათ მოესურვებათ) კეთება“ დაუშვებელია.
- ზოგადად, ფორმალურად აკადემიურ თავისუფლებას კვლევის მონაწილე ექსპერტები ერთნაირად განმარტავენ, თუმცა მათი მოსაზრებები სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებასთან დაკავშირებით განსხვავებულია.

- ექსპერტები, რომლებიც ადმინისტრაციულ საქმიანობას ეწევიან სხვადასხვა უნივერსიტეტში, სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების კუთხით პრობლემებს ვერ ხედავენ, რაც, შესაძლებელია, კონფორმისტული კულტურის გამოვლინებად მივიჩნიოთ.
- სტუდენტების (და რიგ შემთხვევეში აკადემიური პერსონალის) მიერ აკადემიური თავისუფლების აღქმა ნაკლებად ეფუძნება დარგის უახლეს მიღწევებს, დარგის პროფესიულ ეთიკას, სწავლების საფეხურის მოთხოვნებს, დიდაქტიკის საუკეთესო პრაქტიკასა და ანგარიშვალდებულების გაზიარების პრინციპებს.
- კვლევაში მონაწილეთა აზრით, აკადემიური თავისუფლების დასაცავად აუცილებელია მეტი ყურადღება დაეთმოს ღია და სიღრმისეული აკადემიური დებატების კულტურის წახალისებას, რაც ინტელექტუალური ცოდნის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა.
- კვლევაში მინაწილეთა შეფასებით, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სტუდენტის პიროვნულ ზრდა-განვითარებას და ამისთვის სხვა დამატებითი ღონისძიებების გატარებას.
- *რესპონდენტების აზრით, უნივერსიტეტებმა უნდა მოახერხონ აკადემიური თავისუფლების ფარგლებში მრავალი კრიტერიუმის (მაგ: ფავორიტიზმის აღმოფხვრა, ადმინისტრაციული შეზღუდვებისა და ბიუროკრატიზმის შემცირება და სხვ.) დაკმაყოფილება;*

შესავალი

უმაღლესი განათლების კონტექსტში აკადემიური თავისუფლება გულისხმობს პროფესორ-მასწავლებლის თავისუფალ არჩევანს სწავლებისა და კვლევის პროცესში და სტუდენტის თავისუფალ არჩევანს სწავლის პროცესში. ყოველივე ამის გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე საუნივერსიტეტო განათლება. ამით დაცულია სწავლება და კვლევა გარეგანი ჩარევისაგან, შესაბამისად, აკადემიური თავისუფლება თანამედროვე სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო საქმიანობის ბაზისურ ღირებულებას წარმოადგენს. აკადემიურ თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები საქართველოში საფუძვლიანად შესწავლილი არ არის, მით უფრო სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებასთან დაკავშირებული პრობლემები.

აკადემიური თავისუფლების დონის გაზომვა სტუდენტთა პოპულაციაში თანამედროვე მეცნიერომეტრული გაზომვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელსაც ევროპისა და აშშ-ს უმაღლეს სასწავლებლებში დიდ ყურადღებას უთმობენ. თავის დროზე ცნობილმა სოციოლოგმა პიერ ბურდიემ (Bourdieu, 1984) აჩვენა, რომ 1968 წლის სტუდენტური მოძრაობა აკადემიური თავისუფლებისა და ავტონომიისათვის, ფაქტობრივად, სტატუსური მოლოდინების უთანხმოებით გამოწვეული პრივილეგირებულთა მოძრაობა იყო ანუ სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებას პრივილეგიების

(სოციალური და სიმბოლური კაპიტალის) იზოლირება და კონსერვაცია უნდა მოეხდინა *(იხ. პ. ბურდიეს ნაშრომი: „ჰომო აკადემიკუსი“).*

ფაქტია, რომ აკადემიური თავისუფლება კვლევაძიებისა და აზროვნების თავისუფლებისთვისაა აუცილებელი, მაგრამ როგორ მოქმედებს ეს თავისუფლება სტუდენტ-ახალგაზრდობაზე, ქცევისა და ქმედების რა სტანდარტებს ამკვიდრებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სწორედაც, სათანადო კვლევას საჭიროებს. გარდა ამისა, საინტერესოა იმის დადგენა თუ რას მოიაზრებენ აკადემიურ თავისუფლებაში სტუდენტები. აბსოლუტურ თავისუფლებას ხომ არ გულისხმობენ და, ამდენად, გადაჭარბებული მოლოდინები ხომ არ აქვთ ამ საკითხთან დაკავშირებით. გარკვეული ფუნქციონალური დატვირთვის გარეშე, აკადემიური თავისუფლება ხომ არ მივა ანარქიამდე? ბუნებრივია, აკადემიური თავისუფლების პრობლემები ქართულ საგანმანათლებლო სივრცეშიც არსებობს, რაც სათანადო შესწავლას საჭიროებს.

თემის აქტუალობას განაპირობებს ის, რომ აკადემიური თავისუფლება თანამედროვე (ევროპისა და აშშ-ის) საუნივერსიტეტო განათლების საყრდენია. მის როლსა და მნიშვნელობაზე ზოგადად პოლიტიკურ და კულტურულ კონტექსტში და არა მხოლოდ საუნივერსიტეტო საქმიანობაში, მეტყველებს ის ფაქტი, რომ 2023 წელს აკადემიური თავისუფლების შეზღუდვის გამო ევროკომი-

სიამ (EC) უნგრეთის რამდენიმე უნივერსიტეტი Erasmus+-დან გარიცხა.[1]

აკადემიური თავისუფლების დაცვას დიდი ყურადღება ეთმობა ევროპარლამენტში, სადაც აკადემიური თავისუფლების დასაცავად სპეციალური საპარლამენტო ფორუმია შექმნილი. ბუნებრივია, ყოველივე ეს სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებასაც შეეხება.

სტუდენტთა აკადემიური თავისუფლება ევროპის სტუდენტთა კავშირის (ESU) მუდმივი განხილვის თემას წარმოადგენს. ასე მაგალითად 2023 წლის 12 იანვარს ევროპის სტუდენტთა კავშირმა (ESU) განიხილა ეს თემა და გამოაქვეყნა ანგარიში, რომელიც 30 ევროპული ქვეყნის სტუდენტების გამოკითხვას ეყრდნობოდა და მიზნად ისახავდა აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის კვლევას სტუდენტური პერსპექტივიდან (იხ. ევროპის სტუდენტთა კავშირის 2023 წლის ანგარიში). კვლევა ევროპული ქვეყნების პოლიტიკურ და აკადემიურ კონტექსტს ითვალისწინებდა. ამ და სხვა მსგავსი კვლევის შედეგად სტუდენტთა აკადემიური თავისუფლება ევროპაში აკადემიურ, ინტელექტუალურ, საგანმანათლებლო და პოლიტიკურ წრეებში მწვავე დებატების საგანი გახდა.

---

[1] ერასმუსის პროგრამა არის ევროკავშირის „Lifelong Learning Projects" -ის ნაწილი, რომელიც უნივერსიტეტებს მულტინაციონალური თანამშრომლობის საშუალებას აძლევს. პროგრამა 1987 წლიდან მოქმედებს. მასში მთელი ევროპიდან 2008/2009 სასწავლო წელს 198.523 სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა, 2009/2010 სასწავლო წელს კი 213,000 სტუდენტი დაფინანსდა. 2014 წლიდან პროგრამა ფუნქციონირებს განახლებული სახელით ერასმუს + .

საუნივერსიტეტო ცხოვრებისა და საქმიანობის ძირითადი აქტორებისთვის (იგულისხმება სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები) აკადემიურ თავისუფლებაზე ღია, გულახდილი მსჯელობა და, ამ მხრივ, არსებული ვითარების ობიექტური შეფასება ერთობ რთული და სენსიტიური საკითხია. *სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებითმართებულად მივიჩნიეთ ექსპერტთა გამოკითხვის ჩატარება.*

აკადემიური თავისუფლების მხარდაჭერისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის მიცემული (2023) ერთ-ერთი რჩევის მიხედვით, აკადემიური თავისუფლების ხარისხის დასადგენად უნივერსიტეტების შესაბამისმა სტრუქტურებმა „შეიძლება შეიმუშაონ ორგანიზაციული გარემოს შეფასების კითხვარი, რაც მათ დაეხმარება, სიღრმისეულად შეისწავლონ აკადემიური თავისუფლების კონტექსტი, პერსონალისა და სტუდენტების სხვადასხვა ჯგუფის პერსპექტივები და, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყონ სათანადო რეაგირება“. ვფიქრობთ, რომ ჩატარებული კვლევა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რჩევას ეხმიანება.

იქიდან გამომდინარე, რომ ქართული საუნივერსიტეტო განათლება ჯერ კიდევ დასავლურ სისტემასთან ადაპტირებისა და ჰარმონიზაციის პროცესში იმყოფება, სავარაუდოა, რომ თბილისში არსებული სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების სტუდენტების აკადემიური

თავისუფლების ცოდნის დონე და ხარისხი საგრძნობლად ჩამორჩება ამ მხრივ არსებულ დასავლურ გამოცდილებას. აღნიშნულის გასააზრებლად და საქართველოში არსებული რეალობის შესწავლის მცდელობას წარმოადგენს წინამდებარე კვლევა, რომელსაც კონკრეტული სამეცნიერო და პრაქტიკული დანიშნულება აქვს. კერძოდ, პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგად შეიქმნა ახალი სამეცნიერო სოციოლოგიური ნაშრომი, რომელიც გასაცნობად წარედგინება მეცნიერთა ფართო წრეებს (სოციოლოგები, განათლების მეცნიერების წარმომადგენლები, ფსიქოლოგები, განათლების ფილოსოფიის სპეციალისტები, უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი სტუქუტურების წარმომადგენლები, რომლებიც სტუდენტთა პრობლემებით არიან დაინტერესებულნი და სხვ.).

იმედი გვაქვს, რომ კვლევის შედეგად მიღებული სამეცნიერო პროდუქცია აისახება სოციოლოგიის საბაკალვრო პროგრამის ისეთი საგნების სილაბუსებში, როგორებიცაა: განათლების სოციოლოგია და მეცნიერების სოციოლოგია. აგრეთვე, შესაძლებელია სტუდენტთა აკადემიური თავისუფლებისადმი მიძღვნილი ცალკე სასწავლო კურსის მომზადება, ასევე სამეცნიერო დისკუსიების წარმართვა სტუდენტთა ფართო აუდიტორიის ჩართვით და სხვ.

1. მეთოდოლოგია და დიზაინი

1.1. კვლევის მიზანი და ამოცანები

- კვლევის მიზანია აკადემიური თავისუფლების შესახებ სტუდენტთა ცოდნის, აღქმისა და პრაქტიკული გამოცდილების შესწავლა.

კვლევის **ამოცანებად** განისაზღვრა:

- თანამედროვე საგანმანათლებლო გამოწვევების ფონზე აკადემიური თავისუფლებისადმი სტუდენტთა დამოკიდებულებებისა და მოლოდინების რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა.
- აკადემიური თავისუფლების სფეროში სტუდენტთა პრობლემების ანალიზი და მათი გადაჭრისთვის შესაძლო რეკომენდაციების შემუშავება.
- სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების დონისა და ხარისხის შეფასება.
- აკადემიურ თავისუფლებასთან დაკავშირებული სუბიექტური ორიენტაციების გამოვლენა.
- აკადემიური თავისუფლების სტუდენტებისთვის ყოველდღიურ სტუდენტურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ასპექტებისა და კონტექსტების დადგენა.

1.2. მეთოდოლოგია

კვლევის კონცეპტუალურ საფუძველს წარმოადგენს აკადემიური თავისუფლების სოციოლოგიური კონცეფციები (იხ. 2.2).

პროექტის ფარგლებში გამოყენებულია საკვლევი პრობლემის შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა და შედარებითი ანალიზი.

პირველადი კვლევის ფარგლებში კი, გამოყენებულია სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები.

რაოდენობრივი კვლევა: სტუდენტების გამოკითხვა ჩატარდა 2023 წ. 1-30 ივნისს. გენერალურ ერთობლიობას შეადგენდნენ თბილისში არსებული სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სტუდენტები. პირისპირ (ანკეტური) ნახევრად სტრუქტურირებული ანკეტით და ონლაინ-გამოკითხვა (45 რესპონდენტი - შედის რესპონდენტთა საერთო რაოდენობაში. ონლაინ გამოკითხვა კვლევაში პოპულაციის დაინტერესებულ წევრთა მოწვევის ღიაობისთვის იქნა გამოყენებული). გამოიკითხა 800 რესპონდენტი, კერძოდ თბილისში მოქმედი სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების 400-400 სტუდენტი - ჯამში 800 სტუდენტი). შერჩევის ბაზას წარმოადგენდა საქსტატის მონაცემები. კერძოდ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაჩვენებლები 2022/2023“ და შერჩეული უნივერსიტეტების ვებგვერდებზე განთავსებული შესაბამისი მონაცემები.

რადგანაც კვლევა ერთგვაროვან პოპულაციას შეეხება, არჩევანი გაკეთდა მარტივ შემთხვევით შერჩევაზე, როდესაც რესპონდენტები შემთხვევითად შეირჩევიან ზოგადი სიიდან; გენერალური ერთობლიობის ჰომოგენურობისა და ანალოგიური კვლევის შედეგების გათვალისწინებით (Kobakhidze, & Samniashvili, 2022), რესპონდენტები ფაკულტეტების მიხედვით არ შერჩეულა, ხოლო უნივერსიტეტების შერჩევა მიზნობრივად განხორციელდა და შეირჩა თბილისში მოქმედი 5 სახელმწიფო და 5 კერძო უნივერსიტეტი *(იხ. ცხრილი #1:რესპონდენტთა შერჩევის კრიტერიუმები)*.

სახელმწიფო უნივერსიტეტებიდან გამოკითხვაში მონაწილოება მიიღეს: თსუ-ს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა. ხოლო კერძო უნივერსიტეტებიდან: საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (Ყიპა), ალტე უნივერსიტეტის, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერისტეტის (სდასუ), გრ. რობაქის სახელობის უნივერისტეტის (ალმა-მატერისა) და კავკასიის უნივერსიტეტების სტუდენტებმა.

რაოდენობრივი კვლევის შეზღუდვებია: ონლაინ-გამოკითხვის შემთხვევაში სტუდენტების მხრიდან დაბალი აქტივობა - გამოპასუხების სიმცირე (რესპონდენტთა საერთო რაოენობიდან 45 სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა); რესპონდენტთა პასუხების უცვლელად გადმოტანის შესაძლებელი თანმხლები უზუსტობები.

თვისებრივი კვლევა

ა) სიღრმისეული ინტერვიუ სტუდენტებთან: აკადემიურ თავისუფლებაზე სტუდენტების ცოდნის, წარმოდგენების, ორიენტაციებისა და დამოკიდებულებების შესახებ ინფორმაციის მისაღებად ჩატარდა ინდივიდუალური სიღრმისეული ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუები თბილისში არსებული სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საწავლებლების სტუდენტებთან, რისთვისაც შემუშავდა ინტერვიუს გზამკვლევი ღია კითხვების გამოყენებით. ინტერვიუ წარიმართა კონფრონტაციული კითხვებითთ, რომელთა მეშვეობით შემოწმდა ის წინააღმდეგობები, რომლებმაც აკადემიურ თავისუფლებასთან დაკავშირებულ სტუდენტთა სუბიექტურ ნარაციებში იჩინეს თავი. ინტერვიუს დასრულების შემდგომ ჩატარდა მომზადებული შესაბამისი ტრანსკრიპტების დამუშავება, ანალიზი, რის შედეგად თითოეული ინტერვიუდან გამოვლინდა ის ძირითადი ტენდენციები (დებულებების სახით), რომლებსაც რესპონდენტების სუბიექტური ნარაციები ემყარება. სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა თბილისში, 2023 წლის 1 ივლისიდან 30 აგვისტომდე პერიოდში.

თვისებრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღეს თბილისში არსებული სახელმწიფო (20) და კერძო (20) უმაღლესი საწავლებლების სტუდენტებმა ჯამში 40 რესპონდენტი *(იხ. ცხრილი #2: რესპონდენტთა შერჩევის კრიტერიუმები).* უნივერსიტეტები შეირჩა მიზნობრივად. სახელმწიფო უნივერსიტეტებიდან გამოკითხვაში მონაწი-

ლოება მიიღეს: თსუ-ს, საქართველოს ტექნიკური უნივერ-სიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, სახელ-მწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და სოხუმის სახელ-მწიფო უნივერსიტეტების სტუდენტებმა. ხოლო კერძო უნივერსიტეტებიდან: ჯიპას, სდასუს, ალმა-მატერისა და კავკასიის უნივერსიტეტების სტუდენტებმა. რესპონდენ-ტების შერჩევა მოხდა თოვლის გუნდას მეთოდით. ინ-ტერვიუ პირისპირ და ელექტრონულ ფორმატში ჩატარ-და. მისმა საშუალო ხანგრძლივობამ 50 წთ. შეადგინა.

სიღრმისეული ინტერვიუს შეზღუდვა არის ის, რომ გამოკითხული სტუდენტების დიდ ნაწილს ზოგადად, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს აკადემიურ თავისუფლე-ბაზე, ხოლო რაც შეეხება უშუალოდ სტუდენტთა აკადე-მიურ თავისუფლებას, მათი სუბიექტური ნარაციები აგე-ბულია არა ცოდნაზე, არამედ სხვადსხვა შეხედულებაზე, იმ ასოციაციებზე რასაც ეს (აკადემიური თავისუფლების) ცნება იწვევს და მეტწილად სიტუაციური ხასიათი აქვს.

ბ) ექსპერტული ინტერვიუ: ექსპერტებად შეირჩა 15 პროფესიონალი საქართველოს საგანმანათლებლო და საუნივერსიტეტო კონტექსტის შემდეგი სფეროებიდან: ფილოსოფია (2), განათლების მეცნიერება (1), სოციო-ლოგია (3), უმაღლესი განათლების მართვისა და მენეჯ-მენტის სფეროს ყოფილი და ახლანდელი წარმომად-გენლები (6), ექსპერტები, რომლებიც არასამთავრობო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები არიან და რომლებსაც ქართველი საზოგადოება სხვადასხვა მე-დიის საშუალებით იცნობს (2), უცხოურ უნივერსიტეტში მომუშავე ქართველი ექსპერტი (1). გამოკითხვა თბი-

ლისში 2023 წლის ივლისსა და აგვისტოში ჩატარდა*(იხ. ექსპერტთა სია).*

ექსპერტული ინტერვიუს უმთავრეს შეზღუდვას წარმოადგენს ის, რომ ექსპერტთა ნაწილს ადმინისტრაციული თანამდებობები (ხარისხის მართვის ხელმძღვანელები, ფაკულტეტების დეკანის მოადგილეები, მიმართულებებისა და დეპარტამენტების ხელმძღვანელები და სხვ.). უკავია სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებში, რაც მათ პასუხებზე შეაძლოა გავლენას ახდენდეს.

ექსპერტული ინტერვიუს შედეგად გამოვლენილი ტენდენციები ჰარმონიზდა თეორიული ანალიზის ზოგად შედეგებთან, რის საფუძველზეც შესაბამისი დასკვნები ჩამოყალიბდა.

გ) დოკუმენტების ანალიზი: გაანალიზდა სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების შესახებ არსებული სხვადასხვა რელევანტური დოკუმენტი (საკანონდებლო მასალები, სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების ოფიციალურ ვებგვერდებზე განთავსებული დოკუმენტური მასალა, ეთიკის კოდექსები და ა.შ.).

2. აკადემიური თავისუფლების თეორიული კონტექსტი

2.1. ლიტერატურის მიმოხილვა

აკადემიურ თავისუფლებას უმაღლესი განათლების სფეროში საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. აღსანიშნავია, რომ მას ყოველთვის წინ ეღობებოდა უნივერსიტეტს გარეთ არსებული ძალები. ისტორიაში ცნობილია თავიანთი შეხედულებების გამო სხვადსხვა მოაზროვნეთა დევნის ფაქტები (სოკრატე, ჯორდანო ბრუნო, მარტინ ლუთერი და სხვ.). მათ სდევნიდა სახელმწიფო, ოფიციალური რელიგია ანდა ის ჯგუფები, რომლებსაც ამის ძალაუფლება ჰქონდათ.

აკადემიური თავისუფლების ცნებას საფუძველი 1818 წელს ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტმა ჩაუყარა ბერლინის უნივერსიტეტში. თუმცა აკადემიური თავისუფლების გერმანული გაგება საკამოდ შეზღუდული იყო. გერმანული Lehrfreiheit - პროფესორების მიერ ლექციებისა და კვლევების თავიანთი სპეციალობის შესაბამისად ჩატარებას გულისხმობდა (Гумбольдт, 2002).

აკადემიური წრეების გარეთ აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლება ჰუმბოლდტის იდეალებში არ შედიოდა, შესაბამისად XIX ს-ის გერმანიაში პოლიტიკურ თემებზე აზრის თავისუფლად გამოხატვა დისციპლინურ სასჯელს იმსახურებდა, ამიტომ სხვაგვარად მოაზროვნეებს პედაგოგიურ საქმიანობას არ აკარებდნენ. რაც შეეხება სტუდენტებს, მათი აკადემიური თავისუფლება

მხოლოდ შესასწავლი საგნების არჩევით შემოფარგლებოდა.

უნივერსიტეტების პროფესორების ამერიკულმა ასოციაციამ (Association of University Professors) აკადემიურ თავისუფლებას ყურადღება მხოლოდ 1915 წელს დაუთმო, როდესაც ამ მხრივ სამი პრინციპული ამოცანა დასახა: 1) „კაცობრიობისთვის დახმარების გაწევა ცოდნის დაგროვებაში“, 2) „სტუდენტებისთვის მეცნიერების საფუძვლების სწავლება“ და 3) „სხვადასხვა სახელმწიფო სამსახურისთვის სპეციალისტების სათანადოდ მომზადება“.

1940 წელს უნივერსიტეტების პროფესორების ამერიკულმა ასოციაციამ აკადემიური თავისუფლების ცნება გააფართოვა და მასში პროფესორებისა და სტუდენტების მიერ აზრის თავისუფლად გამოხატვა შეიტანა. XX სკუნის მეორე ნახევრიდან გერმანიასა და აშშ-ში დაუშვებელი იყო პროფესორის ან მეცნიერის სამსახურიდან განთავისუფლება მისი მეცნიერული კვლევების ან ხელისუფლებისთვის მიუღებელი შეხედულებების გამო, ხოლო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას არ შეეძლო პროფესორის დასჯა აკადემიური მართვის ან პოლიტიკის საკითხებში უთანხმოების გამო (იხ. აკადემიური თავისუფლების მოკლე ისტორია, ევროპული უნივერსიტეტი სანკტ-პეტერბურგში, 2018).

აკადემიური თავისუფლებისადმი მსგავსი მიდგომით გამოირჩევიან ის ქვეყნები, რომლებსაც აკადემიური თავისუფლების დაცვის არცთუ მცირე ისტორია აქვთ. ამ დროიდან მოყოლებული საუნივერსიტეტო განათლება

დიდ მოაზროვნეთა ყურადღების მიღმა არასოდეს დარჩენილა. მათ შორის არიან: ბეკონი (Бэкон, 1970), ჰობსი (Гоббс, 1989), ლოკი (Локк, 1988), კანტი (Кант, 1996), ფიხტე (FichteJ, 1807), ჰეგელი (ჰეგელი, 2001), იასპერსი (2006), ვებერი (Weber, 2004), დიური (2010), ხოსე ორტეგა ი გასეტი (Ортега-и-Гассет, 2005), ჰაბერმასი (Хабермас, 1994), დერიდა (Деррида, 2003), რორტი (Rorty, 1996) და სხვ.

უნდა ითქვას, რომ საქართველოში საკვლევ თემასთან დაკავშირებით სამეცნიერო ნაშრომების სიმწირეა. სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების საკითხი მეტნაკლებად შესწავლილია მხოლოდ დოკუმენტების ანალიზის გზით სამაგისტრო ნაშრომების მეშვეობით, თანაც ზოგადად და არა სტუდენტურ კონტექსტში. შედარებით უკეთესად არის შესწავლილი პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიური თავისუფლების საკითხი (იხ. Zaaliashvili, 2013; Mamatsashvili, 2019; Kobakhidze & Samniashvili, 2022). შესაბამისად, წარმოდგენილი ნაშრომი სტუდენტებთან მიმართებაში აკადემიური თავისუფლების სოციოლოგიური გამოკვლევის ერთ-ერთი პირველი მცდელობაა.

პირველი ქართული უნივერსიტეტის (ახლანდელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის) პირველი წესდება (1917) შეეხება უნივერსიტეტის ავტონომიას და მმართველობის დამოუკიდებლობას, მაგრამ არა – აკადემიურ თავისუფლებას.

აკადემიური თავისუფლების საკითხმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მეოცე საუკუნის შუახანებიდან,

ტოტალიტარულ რეჟიმებში, განსაკუთრებით ბოლშევიკურ საბჭოეთში და ფაშისტურ გერმანიაში მეცნიერთა და შემოქმედთა დევნის გამოცდილების შემდეგ შეიძინა. სწორედ ამის შემდეგ დაიკავა ამ იდეამ და კონცეფციამ მნიშვნელოვანი ადგილი დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციებსა თუ კანონმდებლობაში.

საბჭოთა პერიოდში ყველა უნივერსიტეტს, მათ შორის, ცხადია, საქართველოში, სახელმწიფო მართავდა, ხოლო სწავლება და კვლევა მკაცრ იდეოლოგიურ კონტროლს ექვემდებარებოდა. უმთავრესი კრიტერიუმი უნივერსტეტებთან მიმართებაში, ბუნებრივია, არა აკადემიური თავისუფლების ხარისხი, არამედ ყალბ ოფიციალურ მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიასთან შესაბამისობა იყო.

მართებული იქნება იმის აღნიშვნა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უნივერსიტეტებს საქართველოში ამ მხრივ სერიოზული პროგრესი არ განუცდია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია უმაღლეს დონეზე იცავს აკადემიურ თავისუფლებას, ზოგადი სიტუაცია ქვეყანაში, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულში – ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობა, შრომითი უფლებების დაუცველობა, განათლებისა და მეცნიერების მწირი დაფინანსება – უნივერსიტეტთა პოლიტიზებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის. შესაბამისად, აკადემიური თავისუფლების, როგორც საუნივერსიტეტო საქმიანობის ორგანიზების და ფუნდამენტური ღირებულების რიგი უმნიშვნელოვანესი ასპექტები, დღემდე აქტუალურია ჩვენში.

ხშირად აკადემიური თავისუფლების ცნება თანამედროვე მეცნიერული დებატების საგანია, რადგან დღემდე მისი ზუსტი განმარტება არ არსებობს. ამ მიზნით ჩატარებულ კვლევებს შორის საყურადღებოა 2003 წელს აკერლინდისა და ქეირუზის კვლევა სახელწოდებით: „აკადემიური თავისუფლების გაგება: სოციალური მეცნიერების შეხედულებები“, ოღონდ ამ შემთხვევაში კვლევა აკადემიური თავისუფლების შესახებ პროფესორების შეხედულებების ანალიზს (Akerlind & Kayrooz, 2003) შეეხება მხოლოდ. მკვლევრებმა გამოიყენეს ფენომენოგრაფიის მეთოდი ანუ რესპონდენტთა მიერ დაწერილი კომენტარები მსგავსებისა და განსხვავებების საფუძველზე ერთმანეთს შეადარეს და აკადემიური თავისუფლების სხვადასხვა გაგება გამოკვეთეს. მათგან მნიშვნელოვანია: აკრძალვების არარსებობა აკადემიურ საქმიანობაში, აკრძალვების არარსებობა თვითრეგულირებისა და გარედან რეგულირების სფეროში, შეზღუდვების არარსებობა საერთო ინსტიტუციონალურ მხარდაჭერასთან ერთად, აკადემიური პერსონალის პასუხისმგებლობებისა და მოვალეობების სფეროში.

განთლების ფილოსოფიის მსოფლიოში ცნობილი და აღიარებული წარმომადგენელი ჯონ დიუი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აკადემიურ თავისუფლებას. მისი აზრით, „აკადემიური თავისუფლება აუცილებელია სოციალური განვითარებისთვის, რადგან თავისუფალი სწავლების პროცესისა და გამოკვლევების გარეშე განვითარებული საზოგადოება ვერ შეიქმნება“ (Dewey, 1936). დიუის მიაჩნია, რომ „აზროვნებისა და გამოხატვის

თავისუფლება ყველანაირი სახის თავისუფლების საფუძველია და მისი შეზღუდვა პირდაპირი დანაშაულია, რომელიც დემოკრატიის წინააღმდეგაა მიმართული. მისთვის მიუღებელი იყო სწავლების მიზნების, მეთოდებისა და მასალების (შინაარსის) განსაზღვრა ერთპიროვნულად, რადგან მიიჩნევდა, რომ მსგავსი საკითხები უნდა განისაზღვრებოდეს დისკუსიებისა და ინტელექტუალური განხილვების საშუალებით, მასში ჩართული უნდა იყვნენ როგორც მასწავლებლები, ასევე სტუდენტები".

ალტბაქი (Altbach, 2001) ნაშრომში: „აკადემიური თავისუფლება: საერთაშორისო გამოწვევები და რეალობა" სხვადასხვა ქვეყანაში შემჩნეულ დარღვევებს და მაგალითად მოაქვს აკადემიური პერსონალის დააპატიმრების შემთხვევები და სხვა.

მარგინსონისა და ოისეჯას მიხედვით, უნივერსიტეტის ეფექტური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია აკადემიური თავისუფლების დაცვა და შენარჩუნება (AAUP, 1940; Marginson & Condisine, 2000; Osieja, 2016.).

აკადემიურ თავისუფლებას აკავშირებენ დემოკრატიულ პროცესებთან, სოციალური დებატების ნაკლებობასთან (Melody, 1997).

აღსანიშნავია ისიც, რომ ადმინისტრაციულმა და ინსტიტუციურმა შეზღუდვებმა არ უნდა შეუწყოს ხელი აკადემიური და მეცნიერული საკითხების დებატებზე უარის თქმას, რასაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა ჰქონდეს სასწავლო პროცესზე (Kayrooz, Kinnear & Preston, 2001; Tierney, 2001).

ოისეჯა 2016 წელს სტატიაში „აკადემიური თავისუფლება: პრინციპები, შეზღუდვები და დელიმიტაცია“ აღნიშნავს, რომ „დღეისათვის სიღრმისეული ცოდნის მიღება ბევრად უფრო მნიშვნელოვანი გახდა, ვიდრე ის, რაც მხოლოდ ზედაპირული ინფორმაციის გაცვლაა. სწორედ ამიტომაა, რომ უნივერსიტეტები იმ ძირითად ცენტრებად ჩამოყალიბდნენ, სადაც შესაძლებელი იქნება ძველი იდეებისა და პარადიგმების კრიტიკულად გააზრება და განხილვა, რადგან სწორედ იდეათა დაპირისპირებაა ახალი ცოდნის შექმნის უმთავრესი საშუალება, ამასთანავე, შესაძლებელი უნდა იყოს ახალი ცოდნის წარმოშობა, რომელიც ობიექტურ კვლევებს დაეფუძნება და რომლის მიზანიც მხოლოდ სიმართლის ძიება იქნება. იმისათვის, რომ უნივერსიტეტმა ასეთი ფუნქციების შესრულება შეძლოს, პირველ რიგში, სწორედ აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფაა საჭირო“ (Osieja, 2016).

ტ. კარანის (Karran, 2007) აზრით, „აკადემიური თავისუფლება ბოლონიის პროცესის განხორციელების მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან ბოლონიის პროცესის წარმატება მოითხოვს, რომ ევროპულ უნივერსიტეტებს ჰქონდეთ უფლებამოსილება, იმოქმედონ ავტონომიის ძირითადი პრინციპებით და დაეთანხმონ უნივერსიტეტების დიდ ქარტიას (The Magna Charta Universitatum, 1988)“.

ამერიკული უნივერსიტეტების შესწავლის შედეგად კეიტი (Keit, 1996) მივიდა მოსაზრებამდე, რომ ფართო გაგებით აკადემიური თავისუფლება განიხილება, როგორც უსაფრთხოების გარანტია „ჭეშმარიტების ძიება-

ში“, რაც ვიწრო გაგებით სწავლებისა და კვლევის მეთოდების თავისუფალ არჩევანს და კოლეგებსა და სტუდენტებთან თავისუფალ დებატებს გულისხმობს.

აკადემიური თავისუფლების მნიშვნელობაზე მეტყველებს ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორის მენანდის (Menand, 1996) რედაქტორობით გამოცემული კრებული - „აკადემიური თავისუფლების მომავალი“ (The Future of Academic Freedom).[2] მასში განხილულია ყველა ის დაპირისპირება, რომელიც დღეს უნივერსიტეტებს აწუხებთ სიძულვილის ენის კოდექსის შესახებ დებატებით დაწყებული უნივერსიტეტის, როგორც მულტიკულტურული გარემოს რეორგანიზაციით დასრულებული. აკადემიური თავისუფლება ამ კონტექსტით არის განხილული. მასში შესულია მოსფლიოში ისეთი ცნობილი და აღიარებული ავტორები, როგორებიც არიან: ჰენრი ლუი გეთსი, ედვარდ საიდი, რიჩარდ რორტი, ჯოან სკოტი და რონალდ დვორკინი. ისინი ესეისტურ სტილში აყალიბებენ თავიანთ მოსაზრებებს აკადემიური თავისუფლების მომავალზე. ამ ესეებში კარგად ჩანს აკადემიური თავისუფლებისთვის ამერიკული ბრძოლების ისტორია. კრებულის რედაქტორის აზრით, მსგავსი პუბლიკაცია საჭიროა იმისთვის, რომ „უკეთ განსაზღვროს რა უნდა და არ უნდა მოხდეს ჩვენს კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში. ამისთვის კი აუცილებელია აკადემიური თავისუფლების მწვავე, სენსიტიურ საკითხებზე აქტიური დებატები.“ ამ

[2] The Future of Academic Freedom, (1996). Edited by Louis Menand. University of Chicago Press.

შემთხვევაში მთვარი საკითხი აკადემიური თავისუფლების საზღვრებსა და ჩარჩოებს შეეხება.

ცნობილ ფილოსოფოს რორტს მიაჩნია, რომ ფილოსოფიური საფუძვლების გარეშე აკადემიურ თავისუფლებაზე მსჯელობა უაზრობაა (Rorty, 1996).

თომას ჰასკელს ყურადღება იმაზე გადააქვს, რომ ცოდნის საზოგადოების ეპოქაში აკადემიური თავისუფლების ცნების ვირტუალური გაგება ჩნდება, რაც მისი გამართლების პრობლემას წარმოქმნის (Haskell, 1996).

ჰენრი ლუის გეთსს მიაჩნია, რომ პრობლემა რასობრივ-ეთნიკურ და სიტყვის თავისუფლების ჭრილში უნდა იყოს განხილული (Gates, 1996).

აკადემიური თავისუფლება, უნდა განიხილებოდეს, როგორც ეთიკური პრაქტიკა, - ამ მოსაზრების ავტორი ჯოან სკოტია (Scott, 1996).

ხოლო აკადემიური თავისუფლების თანამედროვე მკვლევარი რონალდ დვორკინი აკადემიური თავისუფლების ახალი ინტერპრეტაციის მომხრეა (Dworkin, 1996). მისი აზრით, ტრადიციული გაგებით, აკადემიური თავისუფლების დაცვა დღევანდელ პირობებში არაადეკვატურია. აკადემიური თავისუფლების ახლებური ინტერპრეტაცია უნდა უკავშირდებოდეს ეთიკურ ინდივიდუალიზმს, კომპრომისებს აკადემიური თავისუფლებისა და სიტყვის თავისუფლების სფეროში. მასში გათვალისწინებული უნდა იყოს თუნდაც უნებლიე შეურაცხყოფისაგან თავის დაღწევის უფლება და სხვ. (ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ.[3]).

[3] Dworkin R. (1996). We Need a New Interpretation of Academic Freedom.

აკადემიური თავისუფლების ქართველ მკვლევარ-თაგან აღსანიშნავია კობახიძისა და სამნიაშვილის სტა-ტია სათაურით: „თუ შეიძლება, ნაკლები საბჭოთა კავში-რი. მეტი დემოკრატია!“ იმედი და უკმაყოფილება საქარ-თველოს სწრაფვაში აკადემიური თავისუფლებისაკენ“. სტატია დაწერილია პირველადი მონაცემების (თვისებ-რივი კვლევა და ინტერვიუები 16 პროფესორ-მასწავლე-ბელთან სხვადასხვა უნივერსიტეტიდან) და მეორადი მონაცემების ანალიზის საფუძველზე, რაც მოიცავდა ლეგალურ დოკუმეტებს, სამთავრობო რეგულაციებს, მინისტრის ბრძანებებს, არასამთავრობო ორგანიზაციე-ბის ანგარიშებს, მონაცემტა ბაზებში არსებულ სასამარ-თლო დოკუმენტებს, უნივერსიტეტების ვეგვერდებისა და ქართული პრესის ავტორთა აზრით, საქართველოში განსხვავებულია აკადემიური თავისუფლების „დეიურე“ და „დეფაქტო“ მდგომარეობა. პირველ შემთხვევაში აკა-დემიური თავისუფლება ყველა დონეზე აღიარებულია, ხოლო პრობლემური რეალური მდგომარეობაა, რომლის ერთ-ერთ მიზეზად - „უნივერსიტეტებში არსებული საბ-ჭოთა მემკვიდრეობის ნარჩენებია“ - დასახელებული, როგორიცაა მაგალითად თვითცენზურა, კონტროლის ფარული მექანიზმები და კონფორმისტული კულტურა (Kobakhidze & Samniashvili, 2022). მსგავსი მოსაზრებები

Academic Freedom and the Future of the University Lecture Series. Academe, v82 n3 p10-15 May-Jun. Haskell T. (1996). Justifying the Rights of Academic Freedom in the Era of ‘Power/Knowledge. Menand L. ed. 1996. *The Future of Academic Freedom.* Scott J. (1996). Academic Freedom as an Ethical Practice. Sunstein C. (1996). Academic Freedom and Law: Liberalism, Speech Codes, and Related Problems.

ჩვენ მიერ ჩატარებული ექსპერტული ინტერვიუების შედეგადაც გამოვლინდა. ზემოაღნიშნული მკვლევრების ანალიზის შედეგად ასევე გამოიკვეთა ორი ძირითადი საფრთხე, რომელიც ექმნება კადემიური თავისუფლების განხორციელებას საქართველოში: ეს არის გარედან პოლიტიკური ჩარევა და მენეჯერიალიზმი უნივერსიტეტების შიგნით. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული კვლევა მხოლოდ პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თავისუფლებას ეხება და არ მოიცავს სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებას უშუალოდ არ ეხება სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებას.

აკადემიური თავისუფლების ცნების გარშემო სხვადასხვა დროს გამართული დისკუსია-დებატები დღემდე გრძელდება. ამ ცნების ნებისმიერი განმარტებისთვის საერთო ნიშანია კვლევისა და სწავლების თავისუფლება, რაც განათლებისა და მეცნიერების ავტონომიურობას გულისხმობს. ამ დეფინიციის მიხედვით, აკადემიური თავისუფლება კომპლექსური კონტექსტუალური ცნებაა, რომელსაც აკადემიურობასთან ერთად აქსიოლოგიური, პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური, სამართლებრივი და სხვა მრავალი ასპექტი გააჩნია.

2.2. აკადემიური თავისუფლების სოციოლოგიური კონცეფციები

აკადემიური თავისუფლების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის შედეგად სამი ძირითადი კონეცფციის გამოყოფაა შესაძლებელი: 1) **აკადე-**

მიური თავისუფლების ელიტარული თეორია; 2) **აკადემიური თავისუფლების დემოკრატიული კონცეფცია** და 3) **აკადემიური პასუხისმგებლობის კონცეფცია** (Alstyne, 1972)[4].

1) **აკადემიური თავისუფლების ელიტარულ თეორიაში** ძირითადი აქცენტი პროფესორ-მსაწავლებლების კორპორატიულ უფლებებსა და თავისუფლებებზე კეთდება. იგი ოთხ პოზიციას მოცავს: ცოდნა - ღირებულებაა; უნივერსიტეტი - ცოდნის განვითარების ინსტიტუციურ ფორმას წარმოადგენს; შემოქმედების თავისუფლება - ცოდნის განვითარების პირობაა; აკადემიური კომპეტენციები - პროფესორ-მასწავლებელთა სპეციალური კომპეტენციებია, რომლებიც სხვა პირებს არ შეიძლება ჰქონდეს (იხ. იქვე).

2) **აკადემიური თავისუფლების დემოკრატიული კონეცფცია** აკადემიურ თავისუფლებას სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების მსგავსად სამოქალაქო თავისუფლების ნაირსახეობად განიხილავს. ამ შემთხვევაში პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები სამოქალაქო საზოგადოების თავისუფალ წევრებად განიხილებიან (იხ. იქვე).

3) **აკადემიური პასუხისმგებლობის კონცეფცია** აკადემიურ თავისუფლებას უმაღლესი სკოლის მოდერნიზების ჭრილში განიხილავს და მას ფუნქციათა მთელი რიგის გაცნობიერებულ აუცილებლობად მიიჩნევს,

[4] Alstyne, W. (1972). The Specific Theory of Academic Freedom and the General Issue of Civil Liberty, https://scholarship.law.wm.edu/facpubs/792

რომელთა შესრულებაზე უნივერსიტეტი, როგორც სოციალური ინსტიტუტია, პასუხისმგებელი (იხ. იქვე).

საერთაშორისო გაერთიანებამ „აკადემია აკადემიური თავისუფლებისთვის“ - (International Association „Academy for Academic Freedom“) ორი ძირითადი პრინციპი შეიმუშავა: 1) ნებისმიერი საკითხის დაყენება და ჭეშმარიტებისაკენ სწარფვა დაშვებულია უნივერსიტეტის ან სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციის შიგნით და გარეთ, მათ შორის წინააღმდეგობრივი და არაპოპულარული შეხედულებების გამოთქმა. 2) უნივერსიტეტებს არ აქვთ უფლება შეზღუდონ თავიანთი თანამშრომლების აკადემიური თავისუფლება ან მათი საჯარო გამონათქვამები დიციპლინური ღონისძიებების სახით სამსახურიდან დასათხოვნად გამოიყენონ.

აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფაზე ზემოქმედებს აკადემიური რეალიების სწრაფი ცვლილება, პოლიტიკური ზეწოლა, კომერციალიზაციის მატება, გაზრდილი საბაზრო მოთხოვნები. გარდა ამისა, აკადემიური თავისუფლების ცნება ტრანსფორმირდება ციფრულ და ინფორმაციულ ეპოქაში. ყოველივე ეს აკადემიური თავისუფლების ერთი, ყველასათვის მისაღები განსაზღვრების ჩამოყალიბებას ართულებს.

თანამედროვეობა აკადემიური სისტემების (უნივერსიტეტების), სახელმწიფოსა და საზოგადოების დაახლოებით, ურთიერთგაგებითა და დიალოგით გამოირჩევა, რაც აკადემიური თავისუფლების ფორმისა და შინაარსის ტრანსფორმაციას ნიშნავს.

3. კვლევის შედეგები

3.1. რაოდენობრივი კვლევის შედეგები

საკვლევი თემის შესახებ არსებული ძირითადი ლიტერატურის მიმოხილვისა და ამ მხრივ არსებული თანამედროვე დასავლური პრაქტიკის გათვალისიწინებით, გამოიყო ძირითადი ინდიკატორები, რომლებიც რაოდენობრივი კვლევის კითხვარს დაედო საფუძვლად. ეს ინდიკატორებია:

- საგნების არჩევა და სასწავლო პროცესის (სემესტრი) საკუთარი სურვილის მიხედვით წარმართვა.
- სასურველი საგნის ლექტორის არჩევა.
- სასწავლო პროცესის მართვისა და ორგანიზების საქმეში და შეფასების სისტემის შემუშავებაში ჩართულობა.
- საკვლევი თემის, თემის ხელმძღვანელის, კვლევის მეთოდების და საჭირო ლიტერატურის არჩევის თავისუფლება.
- ბაკალავრიატის დონეზე ერთდროულად ორი პროფესიის/მეიჯორი/მაინორი დაუფლების შესაძლებლობა და შემდგომი სწავლის გაგრძელებისთვის ფართო არჩევანის ქონა.
- პუბლიკაციები, სტატიების, ესეების დაბეჭდვა უნივერსიტეტის გამომცემლობაში, ღია კონკურსის საფუძველზე სემესტრული სტიპენდიის მიღება, მონაწილეობა სხვადასხვა კონფერენციაში, ინტელექტუალურ და სპორტულ შეჯიბრებაში, სტუდენტურ კლუბებში გაწევრიანება ან მათი ჩამოყალიბება (კანონის ფარგლებში) ასოციაცია, კლუბი,

უკმაყოფილების შემთხვევაში ადმინისტრაციული ერთეულებისთვის მიმართვის შესაძლებლობა, აპელაციის შესაძლებლობა, სტუდენტური თვითმართველობის საქმიანობაში მონაწილეობა.

- სტუდენტთა უფლებებზე, მოვალეობებსა და აკადემიურ თავისუფლებაზე ინფორმაციის მიღება.
- აზრის საჯაროდ და თავისუფლად გამოთქმის საშუალება, გამოხატვის სრული თავისუფლება.

3.1.1. სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები

იმის გათვალისიწინებით, რომ აკადემიური თავისუფლების ერთ-ერთ ინდიკატორად სტუდენტის მიერ საგნების არჩევა და საკუთარი სურვილისაებრ სასწავლო პროცესის (სემესტრის) წარმართვა მიიჩნევა, ერთ-ერთი შეკითხვა სწორედ ამ საკითხს შეეხებოდა. სტუდენტების უმრავლესობამ 95% (იგულისხმება როგორც I-II, ასევე III-IV კურსის სტუდენტები) აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტში მათი ეს უფლება მაქსიმალურად დაცულია. მხოლოდ 5 პროცენტს გაუჭირდა შეკითვაზე პასუხის გაცემა *(იხ. დიაგრამა 2).*

შეკითხვაზე: შეუძლია თუ არა სტუდენტს თავად აირჩიოს მისთვის სასურველი საგნის ლექტორი, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტს სთავაზობს ლექტორების სიას, რომელიც სპეციალობის მრავალმხრივ დაუფლებას უზრუნველყოფს, რესპონდენტთა პასუხები ასე განაწილდა: 87,5% - არა, 6,25% - დიახ და

5,25% - მიჭირს პასუხი *(იხ. დიაგრამა 3).* აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ, საგნების არჩევა უზრუნველყოფილია, პრობლემაა საგნის ლექტორების არჩევა, რადგანაც უმეტეს შემთხვევაში საგანს მხოლოდ ერთი ლექტორი კითხულობს და ლექტორთა სიას, საიდანაც სტუდენტს მისთვის სასურველი ლექტორის არჩევის შესაძლებლობა ექნება, საგნამანათლებლო პრგრამა, მცირე გამონაკლისების გარდა, თითქმის არ სთავაზობს. ხოლო მსგავსი გამონაკლისების არსებობა სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებას სრულად ვერ უზრუნველყოფს.

დასავლური პრაქტიკა აჩვენებს, რომ სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების ერთ-ერთი ინდიკატორია, თუ რამდენად არიან სტუდენტები ჩართული სასწავლო პროცესის მართვისა და ორგანიზების საქმეში, შეფასების სისტემის შემუშავებაში და სხვ. ამ საკითხის შესახებ კითხვას რესპონდენტთა უმრავლესობამ (95%) უარყოფითი პასუხი გასცა. აღმოჩნდა, რომ სასწავლო პროცესის მართვისა და ორგანიზების, შეფასების სისტემის შემუშავებაში სტუდენტების ჩართულობის მხრივ პრობლემებია. რესპონდენტთა 2,5%-მა აღნიშნულ კითხვას დადებითად უპასუხა, ხოლო 2,5%-მა კითხვაზე პასუხს თავი აარიდა *(იხ. დიაგრამა 4).* ეს მიანიშნებს იმაზე, რომ უნივერსიტეტებმა უნდა გაზარდონ სასწავლო პროცესის მართვისა და ორგანიზების საქმეში და შეფასების სისტემის შემუშავებაში სტუდენტების ჩართულობის დონე.

სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების დონე იმითაც იზომება, კვლევის პროცესში სტუდენტი თვითონ ირჩევს თუ არა მისთვის საინტერესო საკვლევ თემას, თემის ხელმძღვანელს, კვლევის მეთოდებს და საჭირო ლიტერატურას. რესპონდენტთა 75%-მა აღნიშნა, რომ ამ მხრივ მათი აკადემიური თავისუფლება დაცულია. 12,5%-მა შეკითხვას უარყოფითი პასუხი გასცა, ხოლო 12,%-მა თავი შეიკავა. შემდგომში სტუდენტებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების შედეგად გაირკვა, რომ ისინი ვინც თავი შეიკავა, ძირითადად, 1-ლი კურსის სტუდენტები არიან, რომლებიც საუნივერსიტეტო ცხოვრებასა და საქმიანობაში ჯერ კიდევ გარკვეული არ არიან *(იხ. დიაგრამა 5).*

გამოკითხულ სტუდენტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ სტუდენტს საშუალება აქვს ბაკალავრიატის დონეზე ერთდროულად დაეუფლოს ორ პროფესიას (მეიჯორი, მაინორი). აგრეთვე აქვს შემდგომი სწავლის გაგრძელებისთვის ფართო არჩევანი (იგულისხმება სამაგისტრო პროგრამების ფართო არჩევანი) *(იხ. დიაგრამა 6).* ამ მხრივ სახელმწიფო უნივერსიტეტებში პრობლემები ნაკლებად არის.

სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებას იმითაც ზომავენ თუ რამდენად აქვთ მათ საშუალება თავიანთი პუბლიკაციები, სტატიები და ესეები დაბეჭდონ უნივერსიტეტის გამომცემლობაში, კონკურსის საფუძველზე სემესტრული სტიპენდია მიიღონ, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა კონფერენციაში, ინტელექტუალურ და სპორტულ შეჯიბრებებში, გაწევრიანდნენ სტუდენტურ კლუბებში ან

ჩამოაყალიბონ (კანონის ფარგლებში) (ასოციაცია, კლუბი), უკმაყოფილების შემთხვევაში ადმინისტრაციულ ერთეულებს მიმართონ, გამოიყენეონ აპელაციის უფლება, მონაწილეობა მიიღონ სტუდენტური თვითმართველობის საქმიანობაში. ყოველივე ამის შესახებ დასმულ შეკითხვას რესპონდენტთა 75%-მა დადებითად უპასუხა. 25%-მა აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული ინდიკატორების მიხედვით, მათი უფლებები ნაწილობრივ არის დაცული (იხ. დიაგრამა 7).

რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ინფორმაციას მათი უფლებებისა და აკადემიური თავისუფლების შესახებ იგებენ: უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის დახმარებით 75%, აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას თვითონ, ყველსაგან დამოუკიდებლად მოიპოვებენ 12,5%, ხოლო 12,5%-ს კითვაზე პასუხი გაუჭირდა *(იხ. დიაგრამა 8)*.

სტუდენტთა აკადემიური თავისუფლება წარმოუდგენელია აზრის საჯაროდ და თავისუფლად გამოთქმისა და გამოხატვის თავისუფლების გარეშე. შესაბამისად, ამის შესახებ დასმულ შეკითხვას რესპონდენტთა 95%-მა დადებითად უპასუხა, ანუ ისინი აზრის საჯაროდ და თავისუფლად გამოთქმისა და გამოხატვის თავისუფლების პრობლემას ვერ ხედავენ, ხოლო რესპონდენტთა 5 %-ს პასუხი გაუჭირდა *(იხ. დიაგრამა 9).*

ზოგჯერ სტუდენტებს მიაჩნიათ, რომ უნივერსიტეტში ყველაფრის (რაც მათ მოესურვებათ) კეთების თავისუფლება აქვთ, რაც აკადემიური თავისუფლების თვითნებური და არასწორი გაგებაა. გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ 87,5%-მა აკადემიური თავისუფლება

ფორმალურად სწორად ესმის, ხოლო 12,5%-ს კითხვაზე პასუხი გაუჭირდა *(იხ. დიაგრამა 10)*.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხვაში 200 მდედ-რობითი სქესის და 200 მამრობითი სქსესის რესპონ-დენტმა მიიღო მონაწილეობა. ძირითადად მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები ერთმანეთისაგან გენდერულ ჭრილში დიდად არ განსხვავდება *(იხ. დიაგრამა 1).*

3.1.2. კერძო უნივერსიტეტების სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები

კერძო უნივერსიტეტებში საკუთარი სურვილისა-მებრ სასწავლო პროცესის (სემესტრის) წარმართვისა და საგნების არჩევის თავისუფლების შესახებ კითხვას და-დებითად გამოკითხულ რესპონდენტთა 75%-მა უპასუხა, 15%-მა კი უარყოფითად, ხოლო 10%-ს პასუხი გაუჭირდა. ამრიგად, საგნების არჩევა კერძო უნივერსიტეტებში ერთ-ერთ გამოწვევად რჩება *(იხ. დიაგრამა2a).*

გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ კერძო უნივერ-სიტეტებში პრობლემას წარმოადგენს სტუდენტის მიერ მისთვის სასურველი საგნის ლექტორის არჩევა, თანაც საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტს ვერ სთავა-ზობს ლექტორების ფართო არჩევანს, რაც აუცილებელია სპეციალობის მრავალმხრივ დაუფლებისთვის. აღსა-ნიშნავია, რომ ანალოგიური პრობლემები სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებსაც აქვთ. გამოკითხულთა 70%-მა აღნიშნა, რომ კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს, 7,5%-მა

კითხვას დადებითად უპასუხა, 12,5%-მა უარყოფითად, ხოლო 10%-მა პასუხი არ დააფიქსირა *(იხ. დიაგრამა 3ა).*

პრობლემურია სტუდენტების ჩართულობა სასწავლო პროცესის მართვისა და ორგანიზების საქმეში და შეფასების სისტემის შემუშავებაში. რესპონდენტების 88%-ს კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა, ხოლო უარყოფითი პასუხი რესპონდენტების 13%-მა დააფიქსირა *(დიაგრამა 4ა).* ამ შემთხვევაში რესპონდენტების დიდი ნაწილის მიერ კითხვაზე პასუხისგან თავის შეკავება იმაზე მიანიშნებს, რომ საწავლო პროცესის მართვაში ანდა შეფასების სისტემის შემუშავებაში სტუდენტების ჩართულობა მინიმალურია.

სტუდენტების მიერ კვლევის პროცესში მათთვის საინტერესო საკვლევი თემის, თემის ხელმძღვანელის, კვლევის მეთოდების და საჭირო ლიტერატურის შერჩევა პრობლემას არ წარმოადგენს. ამის შესახებ შეკითხვას რესპონდენტების 87,5%-მა დადებითი პასუხი გასცა, ხოლო 12,5%-ს პასუხი გაუჭირდა. ამ უკანასკნელს ძირითად I-II კურსის სტუდენტები მიეკუთვნებიან *(დიაგრამა 5ა).*

გამოკითხულთა 62,5% აღნიშნავს, რომ სტუდენტებს საშუალება აქვთ, ბაკალავრიატის დონეზე, ერთდროულად დაეუფლონ ორ პროფესიას (მეიჯორი, მაინორი), ამასთანავე სპეციალობის საფუძველზე სამაგისტრო პროგრამების ფართო არჩევანი აქვთ. ხოლო 37,5%-მა ზემოაღნიშნული საკითხის შესახებ კითხვას უარყოფითი პასუხი გასცა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ერთდროულად ორი პროფესიის დაუფლება კერძო უნივერსიტეტებში პრობლემას წარმოადგენს, რადგანაც მათ

უმრავლესობას მაინორ პროგრამები არ გააჩნიათ და არც სამაგისტრო პროგრამების ფართო არჩევანია. ყოველივე ეს იმით აიხსნება, რომ ამ ტიპის უნივერსიტეტები ძირითად ორიენტაციას ბაზარზე იღებენ. ბაზრის მოთხოვნები კი სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებას ხშირად ეწინააღმდგება *(დიაგრამა 6a).*

შეკითხვას რომელიც სტუდენტების მიერ თავიანთი პუბლიკაციების, სტატიების, ესეების უნივერსიტეტის გამომცემლობაში დაბეჭდვას, კონკურსის საფუძველზე სემესტრული სტიპენდიის მიიღებას, სხვადასხვა კონფერენციაში, ინტელექტუალურ და სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილეობას, სტუდენტურ კლუბებში გაწევრიანებას, უკმაყოფილების შემთხვევაში აპელაციას, სტუდენტური თვითმართველობის საქმიანობაში მონაწილეობას შეეხება რესპონდენტების 62,5%-მა უარყოფითი პასუხი გასცა, ხოლო 25%-მა დადებითი, 12,5%-მა აღნიშნა, რომ სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების ზემოაღნიშნული კრიტერიუმი ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული *(დიაგრამა 7a).* ამ შემთხვევაში გამოკითხვის შედეგი იმით არის გამოწვეული, რომ კერძო უნივერსიტეტებში სათანადო ყურადღება არ ეთმობა სტუდენტთა ნაშრომების გამოქვეყნებას. ზოგან არც სტიპენდიების საქმეა მოწესრიგებული, ხოლო სხვადასხვა ინტელექტუალურ თუ სპორტულ ღონისძიებებში სტუდენტების ჩართულობა საკმაოდ მაღალია, რაც სტუდენტებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების დროს გამოვლინდა.

რესპონდენტების 62,5% აღნიშნავს, რომ თავიანთი უფლებებისა და აკადემიური თავისუფლების შესახებ

ინფორმაციას სტუდენტები უნივერსიტეტისა და ფაკულ-ტეტისაგან იგებენ, 12,5% თავად პოულობს მსგავს ინფორ-მაციას, ხოლო 25%-ს პასუხი გაუჭირდა *(დიაგრამა 8a).*

გამოკითხულთა დიდმა უმრავლესობამ, 90%-მა აღ-ნიშნა, რომ სტუდენტს უნივერსიტეტში აქვს აზრის საჯა-როდ და თავისუფლად გამოთქმის საშუალება და გამო-ხატვის სრული თავისუფლება. 10%-ს შეკითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა *(იხ. დიაგრამა 9a).*

რესპონდენტების აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ სტუდენტებს უნივერსიტეტში აბსოლუტუ-რი თავისუფლება არ აქვთ. ამით ნათქვამია ის, რომ უნი-ვერსიტეტებში თვითნებობის ადგილი არ არის*(იხ. დიაგ-რამა 10a).*

გამოკითხვაში კერძო უნივერსიტეტებიდან მდედ-რობით ისქესის 200 და მამრობითი სქესის 200 რესპონ-დენტმა მიიღო მონაწილეობა. ძირითადად, მათ მიერ გა-მოთქმული მოსაზრებები ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდება გენდერული თვალსაზრისით *(იხ. დიაგრამა 1a).*

რაოდენობრივმა კვლევამ აჩვენა, რომ სტუდენტე-ბის დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ მათი აკადემიური თავი-სუფლება არ დარღვეულა ან მასთან ასოცირებული რაი-მე შემთხვევა არ ჰქონია.

იმ სტუდენტების პასუხების ანალიზმა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მათი აკადემიური თავისუფლება ოდესმე დარღვეულა, აჩვენა, რომ ისინი ყურადღებას ამახვილე-ბენ ლექცია-სემინარებზე დასწრების ფაქტორზე, საჭი-როების შემთხვევაში მათი დატოვების პრობლემურობა-

ზე, ასევე საგამოცდო პერიოდში საგნების გადანაწილებაზე და სხვ.

საბოლოოდ, რაოდნებროვი კვლევის მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროგრამებში არჩევითი საგნების არსებობა გარკვეულწილად უზრუნველყოფს თბილისში არსებულ სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებას. თუმცა, არჩევითი საგნებისა და თავისუფალი კრედიტების რაოდენობა რიგ შემთხვევებში მინიმალურია, რაც სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების მოთხოვნას ვერ უზრუნველყოფს. თბილისში არსებულ სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სასწავლებლებში, მცირე გამონაკლისების გარდა (რომელიც მთლიან სურათს ვერ ცვლის).

საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტებს ვერ სთავაზობს ლექტორების სიას, საიდანაც არჩევანის გაკეთება იქნება შესაძლებელი. სახელმწიფო უნივერსიტეტში სავალდებულო და არჩევითი საგნების ჩატარების დროის დამთხვევას სტუდენტები თავიანთი აკადემიური თავისუფლების დარღვევად მიიჩნევენ.

თბილისში არსებულ სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სასწავლებლებში პრობლემურია სასწავლო პროცესის მართვისა და ორგანიზების საქმეში და შეფასების სისტემის შემუშავებაში სტუდენტების ჩართულობა. რა თქმა უნდა, პირველ კომპონენტში (მართვა და ორგანიზება) სტუდენტების ჩართულობის მაჩვენებელი მეორე კომპონენტთან (შეფასების სისტემის შემუშავება) შედარებით მაღალია, მაგრამ ამას უმეტესწილად ფორმალუ-

რი ხასიათი აქვს. რესპონდენტების გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ საკვლევი თემის, თემის ხელმძღვანელის, კვლევის მეთოდებისა და საჭირო ლიტერატურის არჩევის თავისუფლების მხრივ, თბილისში არსებულ სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სასწავლებლებში პრობლემები ნაკლებად არის. აკადემიური თავისუფლების ამ კომპონენტს ეს უნივერსიტეტები სათანადოდ იცავენ. აგრეთვე დაცულია ბაკალავრიატის დონეზე ერთდროულად ორი პროფესიის (მეიჯორი, მაინორი) დაუფლების შესაძლებლობა და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლის გაგრძელებისთვის ფართო არჩევანის ქონა. თუმცა ამ მხრივ გარკვეულ პრობლემებს კერძო უნივერსიტეტების სტუდენტები აწყდებიან, რადგან აქ მოქმედი პროგრამების უმეტესობას მაინორ პროგრამები არ გააჩნია, რასაც უნივერსიტეტები ბაზარის მოთხოვნებზე ორიენტირებით ხსნიან. გარდა ამისა სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებში ყველა სპეციალობას თავისი სამაგისტრო პროგრამა არ გააჩნია, რაც სტუდენტების აკადემიურ თავისუფლებას გარკვეულწილად ზღუდავს. სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებში პრობლემურია სტუდენტების მიერ თავიანთი პუბლიკაციების, სტატიების, ესეების უნივერსიტეტების გამომცემლობაში დაბეჭდვა, რადაგან ბევრ მათგანს (მაგ. კერძო უნივერსიტეტებს) გამომცემლობა არ გააჩნია. კერძო უნივერსიტეტებში მოსაგვარებელია სტიპენდიების საკითხი. სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების სტუდენტებს პრობლემა არ აქვთ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა კონფერენციაში, ინტელექტუალურ და სპორტულ შეჯიბრებაში, გაწევრიანდნენ

სტუდენტურ კლუბებში ან ჩამოყალიბონ (კანონის ფარგლებში) ასოციაციები, კლუბები და სხვ. თუმცა ხშირად უნივერსიტეტების მიერ ჩატარებულ ინტელექტუალურ და სპორტულ ღონისძიებებს სარეკლამო ან პრივატული ხასიათი აქვს და ნაკლებად არის მიმართული სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფაზე. სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების სტუდენტებს პრობლემა არ აქვთ უკმაყოფილების შემთხვევაში მიმართონ ადმინისტრაციულ ერთეულებს, გამოიყენონ აპელაციის შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ სტუდენტური თვითმართველობის საქმიანობაში. თუმცა რესპონდენტები ამ უკანსკნელთან დაკავშირებით ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებს გამოთქვამენ. სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების სტუდენტები თავიან უფლებებზე, მოვალეობებსა და აკადემიურ თავისუფლებაზე ინფორმაციას უმეტესწილად უნივერსიტეტიდან და ფაკულტეტიდან იღებენ, თუმცა ეს ინფორმაცია ამ სფეროში მათ გათვითცნობიერებაში საკმარისი არ არის, რადაგანაც სტუდენტებს თავიანთ აკადემიურ თავისუფლებაზე ღია საუბარი უჭირთ. სტუდენტების უმრავლესობამ ჯეროვნად არ იცის რა არის აკადემიური თავისუფლება. უმეტესწილად მათი წარმოდგენა ბუნდოვანია.

3.2. თვისებრივი კვლევა

3.2.1. აკადემიური თავისუფლების კონტექსტი და სტუდენტების სხვადასხვა ჯგუფის პერსპექტივები სირღმისეული ინტერვიუს შედეგების მიხედვით

სიღრმისეული ინტერვიუს შედეგად გაირკვა, თუ რა წარმოდგენა აქვთ სტუდენტებს აკადემიურ თავისუფლებაზე და როგორია მისი სტუდენტური გაგება. ამ შემთხვევაში სტუდენტები ორ კატეგორიად იყოფიან: 1) ისინი, რომელთაც მწირი ინფორმაცია აქვთ აკადემიურ თავისუფლებაზე და უმეტეს შემთხვევაში გაურკვევლობაში იმყოფებიან (ძირითადად I-II კურსის სტუდენტები), შესაბამისად, აკადემიური თავისუფლების შესახებ მათი წარმოდგენა ხშირად წინააღმდეგობრივი და საკმაოდ ბუნდოვანია (მაგალითისათვის, იხილეთ ქვემოთმოყვანილი ამონარიდი ინტერვიუდან):

[...მეც მაინტერესებს, ზუსტად რას ნიშნავს. ასე ცალკე ტერმინად არ გამიგია არასდროს, რატომღაც მგონია, რომ დაკავშირებულია საგანმანათლებლო სივრცესთან, მაგრამ თავისუფლება რა მხრივ იგულისხმება, ცოტა ბუნდოვანია ჩემთვის... თსუ-ს ბაკალავრიატის პროგრამის I კურსის სტუდენტი].

და 2) ისინი, რომელთაც იციან რა არის ან რას გულისხმობს აკადემიური თავისუფლება, მაგრამ მის შესახებ ღიად, თავისუფალად და გამართულად მსჯელობა უჭირთ (უმეტესწილად III-IV კურსის სტუდენტები).

[...ეხლა მომაგონდა, რომ აკადემიური თავისუფ-ლება შეიძლება ნიშნავდეს რამდენად თავისუფალი ხარ. აი, თუნდაც საგნის არჩევის კუთხით ან რაღაცა მსგავსი... თსუ-ს ბაკალავრიატის პროგრამის III კურსის სტუდენტი].

[...ჩემი აზრით, აკადემიური თავისუფლება, პირველ რიგში, გულისხმობს სიტყვის თავისუფლებას, შეუზღუ-დაობას იმ მხრივ, თუ რას დაწერ, რას იტყვი, რას ას-წავლი, როგორ გამოხატავ საკუთარ აზრს ლექციებზე ან აკადემიურ ჟურნალებში, ზოგადად აკადემიურ სივრცე-ში... ტქნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის პროგრა-მის IV კურსის სტუდენტი].

[...სტუდენტს უნდა შეეძლოს საკუთარი აზრის ყო-ველგვარი შიშის გარეშე გამოხატვა, არ უნდა იზღუდებო-დეს მის ფიზიკურ ვიზუალში. რა თქმა უნდა, ლექტორს უნდა შეეძლოს ჩვენ მიერ გამოხატული აზრის კრიტიკა, თუმცა ეს ყველაფერი უნდა ხდებოდეს ეთიკის სტანდარ-ტებისა და ნორმების დაცვით... ჯიპას ბაკალვრიატის პროგრამის III კურსის სტუდენტი].

[...აკადემიური თავისუფლება გულისხმობს იმას, რომ ლექციებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხში არ ხარ რაიმე მხრივ შეზღუდული. გაქვს ის თავისუფლე-ბა, რაც გეკუთვნის, ანუ კანონით ან სასწავლო წესებით გათვალისწინებული და არ არის შეზღუდვა, რაიმე ზეწო-ლა ლექტორის ან ადმინისტრაციის მხრიდან... თბილისი სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტი].

რესპონდენტების დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ აკადემიური თავისუფლების შესახებ ბევრი არაფერი

სმენიათ, ამიტომ საჭიროდ მიიჩნევენ ინფორმირებას ამ კუთხით. ამ კატეგორიის სტუდენტებმა ისიც არ იციან, თუ ვის უნდა მომართონ ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

გამოკითხულმა სტუდენტებმა მათი აკადემიური თავისუფლების მნიშვნელოვან ასპექტებად მიიჩნიეს: სასწავლო განრიგის შედგენაში მონაწილეობა, ცოდნისა და განათლების მიღება, მაქსიმალურად თავისუფალ გარემოში, კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის ხელშეწყობა, მეცადინეობებზე თავისუფალი დასწრება, დისკუსია-დებატების კულტურის ხელშეწყობა, ეთიკური საკითხებისადმი მეტი დროისა და ყურადღების დათმობა, ბაზრის მოთხოვნებთან შედარებით ცალკეული სტუდენტების პრობლემებზე ორიენტირება, ინდივიდუალური ინიციატივების წახალისება, აპელაციის უფლება, კეთილგანწობილი და კომფორტული სასწავლო გარემოს შექმნა, თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი ინფრასტრუქტურის არსებობა, საგანმანათლებლო პროცესში ჩართული ყველა აქტორის მიერ იმ უფლებებისა და მოვალეობების დაცვა, რომლებიც მათ ხელშეკრულებით და სხვა სამართლებრივი აქტებით აქვთ მინიჭებული, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, არჩევანის თავისუფლება და სხვ.

გამოკითხული რესპონდენტები აცნობიერებენ, რომ მათი აკადემიური თავისუფლება მხოლოდ ინდივიდუალურ თავისუფლებას არ გულისხმობს (იხ. ქვემოთ-მოყვანილი ამონარიდი ინტერვიუდან):

[...საკუთარი აზრის საჯაროდ გამოხატვის უფლებას ვეთანხმები, მაგრამ სტუდენტმა რაც მას უნდა ის აკეთოს,

არ ვეთანხმები. სხვისი უფლება არ უნდა შეიზღუდოს, შენი თავისუფლებით... კავკასიის უნივერსიტეტის ბაკალვრიატის პროგრამის II კურსის სტუდენტი].

ამ შემთხვევაში ინდივიდუალური თავისუფლება შეხამებულია კოლექტიურ და ინსტიტუციურ თავისუფლებებთან და წარმოდგენილია, როგორც უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობა, თუმცა რესპონდენტების უმრავლესობამ კარგად არ იცის რისი უფლება აქვს და რა მოვალებები აკისრია (იხ. ქვემოთმოყვანილი ამონარიდი ინტერვიუდან):

[...რომ არ ვიცი აკადემიური თავისუფლების ზუსტი კონცეპტი, ანუ რას ნიშნავს, ძაან ცუდია ეგ, იმიტომ რომ მაგ კუთხით ვერ ვაფასებ რა ისეთ მექანიზმს შეიძლება იყენებდეს უნივერსიტეტი... სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალვრიატის პროგრამის I კურსის სტუდენტი].

სწორედ ამის გამო, რესპონდენტებს აკადემიური თავისუფლების შეზღუდვაზე საუბარი უჭირთ ან არ სურთ, რომ ისაუბრონ. რესპონდენტების თითქმის უმრავლესობამ გამოთქვა სურვილი და მზადყოფნა აკადემიური თავისუფლების ცოდნის დონის ასამაღლებლად.

რესპონდენტების უმრავლესობას მიაჩნია, რომ უნივერსიტეტებში სტუდენტების აკადემიური თავისუფლება უფრო დაცულია, ვიდრე პროფესორ-მასწავლებლების. თუმცა ცალკეულმა გამონაკლისებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტებში ლექტორების აკადემიური თავისუფლება უფრო დაცულია ვიდრე სტუდენტების (იხ. ქვემოთმოყვანილი ამონარიდი ინტერვიუდან):

[...ჩემი აზრით ლექტორს უფრო მეტი თავისუფლება აქვს ვიდრე სტუდენტს, იმიტომ რომ ლექტორს ყველაფერის თქმა ან ეკეთება შეუძლია, სტუდენტს კი არა. მაგ. ლექციის მსვლელობაში ლექტორს შეუძლია მობილურზე შემოსულ ზარს ან შეტყობინებას უპასუხოს, ხოლო სტუდენტს კი ამის უფლებას არ ძლევს. მსგავსი ფაქტებიდან გამომდინარე ვფიქრობ, რომ ლექტორის აკადემიური თავისუფლება უფრო დაცულია, ვიდრე სტუდენტის... თსუ-ს ბაკალვრიატის პროგრამის III კურსის სტუდენტი].

რესპონდენტების აზრით, აკადემიური თავისუფლების შეზღუდვის მაგალითია ცენზურის, ადმინისტრაციული კონტროლისა და ზედამხედველობის მკაცრი მექანიზმების არსებობა, ზედმეტი ბიუროკრატიზმი. სტუდენტის აკადემიური თავისუფლება ირღვევა მაშინ, როდესაც უნივერსიტეტი სტუდენტების კი არა პროფესორ-მასწავლებელთა სურვილებს ითვალისიწინებს. სტუდენტებს უნდა ეკითხებოდნენ, რა ტიპის ლექციები და სემინარები უნდათ (იხ. ქვემოთმოყვანილი ამონარიდი ინტერვიუდან):

[...სტუდენტების სურვილებს დიდად არ ითვალისწინებენ. მაგ., ჩვენ რა ტიპის ლექციები და სემინარები გვინდა, ამას ჩვენ არავინ გვეკითხება... *თსუ-ს ბაკალვრიატის პროგრამის IV კურსის სტუდენტი*].

რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ სასურველია შუალედური და დასკვნითი გამოცდების გრაფიკი მათთან შეთანხმებით იქმნებოდეს, ამით ისინი მეტად იქნებოდნენ ჩართულნი სასწავლო პროცესის ორგანიზების საქ-

მეში. აუცილებელია, რომ ამ მხრივ, მათი მოსაზრებები გათვალისიწინებული იყოს.

რესპონდენტების აზრით, მათი აკადემიური თავისუფლების შეზღუდვის მაჩვენებელი კიდევ ერთ-ერთი ფაქტი სასწავლო ჯგუფებში სტუდენტების დიდი რაოდენობაა, რის გამოც ისინი სრულად ვერ ახერხებენ თავიანთი ნიჭისა და უანარების, ცოდნის გამოვლენას, ამიტომ საშურ საქმედ მიაჩნიათ სასწავლო ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობის შემცირების მიზნით, ამ ჯგუფების გაყოფა (მსგავსი პრობლემა მხოლოდ სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტებს აქვთ).

რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტებმა უარი არ უნდა თქვან დისტანციურ სწავლებაზე, რისთვისაც სასურველია სწავლების შერეული ე. წ. ჰიბრიდული ფორმების გამოყენება. ამით სტუდენტთა სხვადასხვა კატეგორიის ინტერესები მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული, რაც აკადემიური თავისუფლების არცთუ უმნიშვნელო კონტექსტია.

სავარაუდო იყო, რომ სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების თვალსაზრისით, სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებში სხვადასხვა ვითარება იქნებოდა, რაც მართლაც, დადასტურდა. მიუხედავად ამისა, ცალკეული ბაზისური პრობლემები ყველგან გამოიკვეთა, რომლებიც სწორედ სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების შეზღუდვას ეხება და უმეტესობისთვის საერთოა.

ძირითადად ასეთი საკითხებია მაგალითად გამოცდების განრიგის მოუქნელობა და სწავლისა და დასაქმების ურთიერთშეთავსების საკითხი. გამომდინარე იქი-

დან, რომ ყველასთვის ნაცნობია ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა არასახარბიელო ეკონომიკური პირობები, გასაგები უნდა იყოს რამდენად მნიშვნელოვანია სტუდენტებისათვის სწავლის პარალელურად დასაქმებაც. თბილისში უამრავი სტუდენტი რეგიონიდანაა ჩამოსული სასწავლებლად და მათი აქ ცხოვრება მთელ რიგ ხარჯებთან არის დაკავშირებული. განათლების მისაღებად მათ უწევთ პარალელურად იმუშაონ, რათა შეძლონ ყველა ხარჯის დაფარვა და განათლების გარეშეც არ დარჩნენ. რასაც უნივერსიტეტები უნდა ითვალისწინებდნენ. რა თქმა უნდა, არიან ისეთი სტუდენტებიც, რომელთაც ამ საკითხთან დაკავშირებული პრეტენზიები არ აქვთ, თუმცა, ძირითადად, გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მათთვის ეს ძალიან სტრესული და რიგ შემთხვევაში გადაუჭრელი პრობლემაა. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ლექტორები ხშირადარ უწყობენ ხელს სტუდენტებს ზემოთ განხილულ პრობლემასთან დაკავშირებით. ამ მხრივ ყურადღება გამახვილდა ასაკოვან ლექტორებზე (იხ. ქვემოთმოყვანილი ამონარიდი ინტერვიუდან):

[სახელმწიფო უნივერსიტეტებში უმეტესობა ასაკოვანი ლექტორებია, უფრო მეტად სწორედ ისინი ზღუდავენ სტუდენტის აკადემიურ თავისუფლებას, იმიტომ რომ რაღაცას ისე ძაან კონკრეტულად ითხოვენ, რომ სხვა გზას არ გიტოვებენ... აუცილებლად ისე და ასე უნდა გააკეთო, აუცილებლად ეს დედლაინი გაქვს და არ გადააცილო და, ალბათ, მაშინ უფრო ირღვევა აკადემიური თავისუფლება. ხშირად მსმენია, რომ სტუდენტი დაგვიანების გამო გამოუგდით ლექციიდან ან არ შეუშვიათ ლექციაზე. ასეთი

ლექტორები გაცდენებზეც პრობლემას ქმნიან. მაგ., გამიგია რომ სამ გაცდენაზე მეტი თუ ექნებოდა სტუდენტს ავტომატურად ეტენებოდა საგანი. ესეც ხომ თავისუფლების შეზღუდვა, აბა რა არის? თსუ-ს ბაკალვრიატის პროგრამის III კურსის სტუდენტი].

პრობლემური აღმოჩნდა გამოცდების ხისტი განრიგი, რაც ზოგიერთ სტუდენტს გამოუვალ მდგომარეობაში აყენებს და ძალიან ურთულებს სათანადო აკადემიური შედეგების მიღებას. ამ მხრივ, სტუდენტებს არ აქვთ საკმარისი ალტერნატივები, რომ მუშაობაც მოასწრონ.

კვლევის შედეგად ცხადი გახდა, რომ გამოკითხული რესპონდენტების, კონკრეტულად სტუდენტთა დიდი ნაწილი, არ ფლობს ღრმა და დეტალურ ინფორმაციას საკვლევ საკითხთან დაკავშირებით, რასაც ზოგ შემთხვევაში თვითონ გულწრფელად ამბობენ. ამის მიზეზად კი საკუთარ დაუინტერესებლობას ასახელებენ, ან იმ ფაქტს, რომ არასდროს დაფიქრებულან და არც სხვისგან სმენიათ ამ თემაზე და, ბუნებრივია, სათანადო რეფლექსია არასდროს ჰქონიათ.

გამოკითხულთა ნაწილი კი (საგულისხმოდ უფრო მეტი ნაწილი) აკადემიური თავისუფლების საკითხზე მსჯელობას საკუთარი დამოკიდებულებების და დაკვირვებების საფუძველზე ახორციელებს. პრობლემაზე მათი რეფლექსია ეფუძნება მათ გამოცდილებას, ასევე მათი ახლობელი, ნაცნობი თუ მეგობარი სტუდენტების გამოცდილებას საუნივერსიტეტო სივრცეში, ამიტომ საჭიროდ მიაჩნიათ (იხ. ქვემოთმოყვანილი ამონარიდი ინტერვიუდან):

[...აკადემიურ თავისუფლებაზე ხშირად ვესაუბროთ სტუდენტებს ანუ შეიძლება, სტუდენტის თვალით დავინახოთ ისეთი პრობლემები, რომლებსაც სხვაგვარად ვერ დავინახავდით და აუცილებლად გასათვალისწინებელია ის, თუ რა აწუხებთ სტუდენტებს და ამის მიხედვით მივიღოთ გადაწყვეტილებები... თსუ-ს ბაკალვრიატის პროგრამის IV კურსის სტუდენტი].

გამოკითხული რესპონდენტების გამოთქმულ შეხედულებებში აკადემიური თავისუფლება დაკავშირებულია ისეთ ასპექტებთან, როგორებიცაა ლექცია-სემინარებზე დასწრება, აქტიურობა და ამ კომპონენტში დაწერილი ქულა. სტუდენტთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობები არ საჭიროებდა ქულას და ასევე ნებაყოფლობითი დასწრების ფორმატის სასურველობას გამოხატავდნენ.

სიღრმისეული ინტერვიუს ფარგლებში რესპონდენტებმა ყურადღება გაამახვილეს შეხედულებების თავისუფალ დაფიქსირებაზე, რომელიც თავის მხრივ ორ ასპექტში ვლინდებოდა. პირველი იყო ყოველდღიურ ცხოვრებაში, და, ძირითადად, სალექციო და სასემინარო პროცესს ეხებოდა, ხოლო მეორე კონფერენციებისა და სტატიების ფორმატს.

ქართველ სტუდენტთა ნაწილი პირისპირ ინტერვიუში აცხადებს, რომ ისინი ძირითადად კმაყოფილი არიან მათი უნივერსიტეტის მუშაობის სტრუქტურით, თუმცა აქვე ასახელებენ ხარვეზებს, რომლებიც, მათი აზრით, გამოსასწორებელია. პასუხებში დასახელებული ხარვეზები ეხება როგორც ფიზიკურ გარემოს - აუდიტორიებისა

და ინვენტარის კეთილმოწყობას ან დახვეწას, ასევე სტუდენტების მეტ ჩართულობას სემესტრული სასწავლო განრიგისა და პროგრამის წარმართვის საკითხებში. ეს უკანასკნელი უფრო ხშირად გამოვლინდა კერძო უნივერსიტეტების სტუდენტებში, მათი ამჟამინდელი გამოცდილებიდან გამომდინარე.

რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ აუცილებელია აკადემიური თავისუფლების შესახებ სტუდენტთა ცოდნისა და ცნობიერების დონის ამაღლება (იხ. ქვემოთმოყვანილი ამონარიდი ინტერვიუდან):

[...პირველ რიგში უნდა მოხდეს ცნობიერების ამაღლება იმ დონეზე, რომ სტუდენტმა ელემენტალურად იცოდეს რას ნიშნავს აკადემიური თავისუფლება. შემდეგ გაიაზროს იგი და ყოველდღიური პრაქტიკის საფუძველზე გაანალიზოს. ცნობიერების ამაღლების შემდეგ, თუ ვინმეს აკადემიური თავისუფლება დაირღვევა, ხმა უნდა აღვიმაღლოთ, არ აქვს მნიშვნელობა ვინ იქნება. აუცილებლად უნდა დავიცვათ ის ადამიანი და, ბუნებრივია, ყველა შემთხვევაში ასე უნდა მოვიქცეთ... უნდა გვქონდეს იმის გამბედაობა, რომ ხმამაღლა გავასაჯაროვოთ ყოველივე. აკადემიური თავისუფლების დაცვა არ მოხდება ერთი ადამიანის ძალისხმევით, ყველა უნდა იყოს ამ პროცესში ჩართული და ერთიანობის საფუძველზე მიიღწევა ის შედეგი, რაც გვინდა რომ მივიღოთ... თსუ-ს ბაკალვრიატის პროგრამის III კურსის სტუდენტი].

ამგვარად, როგორც რესპონდენტებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების შედეგები მოწმობს, სტუდენტების მიერ საგნების არჩევის თავისუფლება

უზრუნველყოფილია, თუმცა რიგ შემთხვევებში (ეხება როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო უნივერსიტეტებს), არჩევითი საგნების (ელექტიური კურსების) რაოდენობა მიზერულია. აღნიშნული დასტუდრება რაოდენობრივი კვლევის შედეგებითაც. სტუდენტების აკადემიური თავისუფლება გარკვეულწილად შეზღუდულია საგნის ლექტორების არჩევის შემთხვევაშიც, რადგანაც უნივერსიტეტებში ფაკულტეტებზე არ არის ლექტორების საკმარისი რაოდენობა (ანალოგიური შედეგები მოგვცა რაოდენობრივმა კვლევამ). სასწავლო პროცესის მართვასა და ორგანიზებაში სტუდენტების ჩართულობა მინიმალურია. კვლევის თავისუფლება მეტწილად დაცულია. იგივე ითქმის ცოდნის მიღების, სხვადასხვა აქტივობის, ინფორმაციის მიღებისა და გამოხატვის თავისუფლებაზე.

3.2.2. ექსპერტული ინტერვიუს შედეგები

ა) აკადემიური თავისუფლების შესახებ: ბუნებრივია, აკადემიური თავისუფლება კავშირშია სიტყვის თავისუფლებასთან, ამიტომ კვლევის პროცესში ყურადღება ექცევა აკავშირებენ თუ არა რესპონდენტები ამ და სხვა მსგავს ცნებებს (თავისუფალი გამოხატვის საშუალება, აკადემიური თუ შემოქმედებითი აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლებას და სხვ.) აკადემიურ თავისუფლებასთან.

ექსპერტული ინტერვიუები აკადემიური თავისუფლების ცნების დეფინიციისა და საუნივერსიტეტო განათ-

ლებაში აკადემიური თავისუფლების როლისა და მნიშვნელობის გარკვევით იწყება.

აკადემიური თავისუფლების ის დეფინიცია, რომელსაც რესპონდენტები იძლევიან სრულ თანხმობაშია სამეცნიერო და აკადემიურ ლიტერატურაში დამკვიდრებულ დეფინიციასთან: *(„სწავლის, კვლევის, აზრის გამოხატვის თავისუფლება აკადემიურ საკითხებზე“).* ექსპერტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ აკადემიური თავისუფლება უმაღლესი განათლების სისტემის ერთ-ერთი იმდენად მნიშვნელოვანი მონაპოვარია, რომ მის გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე სამეცნიერო და სასწავლო საქმიანობა, ამიტომ სახელმწიფომ (უნივერსიტეტების მაქსიმალური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფით) და უნივერსიტეტებმა პროფესორ-მასწავლებლებისა და სტდენტების აკადემიური თავისუფლების დაცვასა და უზრუნველყოფას ხელი უნდა შეუწყონ.

ექსპერტთა ნაწილს კი მიაჩნია, რომ ფორმალურად, საკანონმდებლო დონეზე, აკადემიური თავისუფლება ჩვენში დაცულია, თუმცა საქმის რეალური მდგომარეობა სულ სხვაგვარია. კერძოდ, სახეზეა აკადემიური თავისუფლების შემზღუდავი მთელი რიგი ფაქტორები. მაგალითად აკადემიურ თავისუფლებას ზღუდავს უნივერსიტეტების კომერციალიზაცია, პროფესორ-მასწავლებლების დაქვემდებარება საბაზრო პრინციპებისადმი და მათ მიერ ე.წ. თვითცენზურის დაწესება, როდესაც პროფესორ-მასწავლებელი საკუთარ აზრს ვერ გამოხატავს იმის შიშით, რომ ამას შეიძლება უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის, სტუდენტების ან საზოგადოების მხრიდან

არაადეკვატური რეაქცია მოჰყვეს. სხვა ფაქტორი, რომელიც აკადემიურ თავისუფლებას ზღუდავს რესურსების ნაკლებობაა. ცხადია, პროფესორ-მასწავლებლებს იმის თავისუფლება აქვთ, რომ იკვლიონ ის, რაც მათ მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, მაგრამ კვლევისთვის საჭირო რესურსების უქონლობის გამო რეალურად თავისუფლებას მოკლებულნი არიან. ამ შემთხვევაში სახეზეა მეტად უცნაური მდგომარეობა, როდესაც ფორმალურად პროფესორ-მასწავლებელი შეზღუდული არ არის თავის კვლევაში, მაგრამ სინამდვილეში მას მისთვის საინტერესო და სასურველი კვლევის ჩასატარებლად საშუალება (დრო, ფინასები, ცოდნა-გამოცდილება და ა.შ.) არ აქვს.

ამ შემთხვევაში ჩვენი მიგნებები აკადემიური თავისუფლების შემზღუდველ ფაქტორებთან, როგორიცაა უნივერსიტეტის კომერციალიზაცია, საბაზრო პრინციპების ჰეგემონია, ბიუროკრატიული მექანიზმები და კვლევისთვის საჭირო რესურსის სიმწირე თანხმობაშია კობახიძისა და სამნიაშვილის კვლევის შედეგებთან (Kobakhidze & Samniashvili, 2022).

ექსპერტთა ნაწილმა *აკადემიური თავისუფლების* დეფინიციის სირთულეზე გაამახვილა ყურადღება და მიანიშნა, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს რელატიურ ცნებასთან იმ გაგებით, რომ „აკადემიური თავისუფლება რელატიურად თავისუფლებაა“, რაც გულისხმობს როგორც პროფესორების, ისე სტუდენტების სწავლისა და კვლევის თავისუფლებას გარკვეული რეგულაციებით, ამიტომ თითოეულმა მათგანმა საკუთარი ინტერესები, აზრები, შეხედულებები და იდეები ამ „ჩარჩოს შიგნით“

(იგულისხმება ოფიციალური რეგულაციები) უნდა წარმოადგინოს, სხვაგვარად შეუძლებელი იქნება აკადემიური თავისუფლება. ამ მოსაზრებას ეთანხმება ერთ-ერთი ექსპერტი, რომელსაც მიაჩნია, რომ აკადემიური თავისუფლება უნივერსიტეტის ძირითადი მოთხოვნების დაცვას უნდა ითვალისწინებდეს.

აკადემიური თავისუფლების ცნების განმარტებისას ექსპერტთა ნაწილმა ყურადღება გაამხვილა ცენზურაზე. აღინიშნა, რომ აკადემიური თავისუფლება შეუძლებელია ზემდგომის მიერ დაწესებული ცენზურის ან თვითცენზურის პირობებში მით უფრო მაშინ, როდესაც პოლიტიკური ისტებლიშმენტია იმით დაინტერესებული, რომ პროფესორმა მისი მხარდამჭერი აზრი გამოთქვას ან პოზიცია დააფიქსიროს, თუმცა ასეთი ცენზურა დღეს საქართველოში არ არის. ამ შემთხვევაში რესპონდენტმა ყურადღება გაამხვილა იმაზე, რომ ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ ცენზურა და რეცენზირება (მაგ., ფარული რეცენზირება), რაც მიმართულია პლაგიატისა და მდარე, ყალბი სამეცნიერო პროდუქციისა და არა აკადემიური თავისუფლების წინააღმდეგ, ამიტომ ფარულ რეცენზირებაზე პუბლიკაციის გაგზავნა სულაც არ ნიშნავს აკადემიური თავისუფლების შეზღუდვას.

ექსპერტებმა ხაზი გაუსვეს, რომ აკადემიური თავისუფლება არ ნიშნავს იმის თქმას და კეთებას, ვისაც რა სურს. აკადემიური თავისუფლება თვითნებობას გამორიცხავს. ჩვენში ეს ორი რამ, სამწუხაროდ, ხშირად ერთმანეთში ერევათ. პროფესორის ან სტუდენტის აკადემიური თავისუფლება იმ უფლებებისა და მოვალეობების

დაცვასა და განხორციელებას გულისხმობს, რომლებიც უნივერსიტეტების მიერ მათთან დადებულ ხელშეკრულებაშია დეკლარირებული. ამ კონტექსტში საინტერესოა პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიური თავისუფლების შეფასება. ექსპერტთა ნაწილი აღნიშნავს, რომ პროფესორის აკადემიური თავისუფლება „გარკვეულწილად შეზღუდულია“, როდესაც მას ეუბენებიან, რომ გამოცდა მაინცდამაინც ამ და ამ დროს ჩაატაროს,

„ნიშანი გამოიყვანოს გარკვეული კომპონენტებით და საბოლოო გამოცდაში მაქსიმუმ ორმოცი ქულა დაწეროს. ესეც შეზღუდვაა. შეფასება ზოგადად 100 ქულიანია, იმიტომ რომ სახელმწიფომ დააწესა ასე, თუმცა როგორ გამოიყვანს ამ 100 ქულას პროფესორი, ეს სახელმწიფოს მიერ დეტალურად გასაწერი არაა, პროფესორი უნდა განსაზღვრავდეს ამას“ (ექსპერტი #1)..

ეს და მსგავსი მთელი რიგი ნიუანსები მიანიშნებს იმაზე, თუ რამდენად მრავალწახნაგოვანია აკადემიური თავისუფლების ცნება და რა სირთულეებთან არის დაკავშირებული მისი დეფინიცია.

ბ) სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების შესახებ: ექსპერტული ინტერვიუს ფარგლებში განხილული საკითხი სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებას შეეხებოდა. ამ შემთხვევაში ექსპერტებმა მრავალი ერთმანეთისაგან განსხვავებული მოსაზრებები წარმოადგინეს.

ექსპერტთა ნაწილი აღნიშნავს, რომ სტუდენტის აკადემიური თავისუფლება შეზღუდულია. დავიწყოთ იმით, რომ სტუდენტი შეზღუდულია პროფესიის არჩევაში,

რადგანაც ანგარიში უნდა გაუწიოს შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

მაგ., *„შეიძლება, ადამიანს აინტერესებდეს ასირიოლოგიის შესწავლა და სწავლობდეს ბიზნეს-ადმინისტრირებაზე, იმიტომ რომ ეს უკანასკნელი პროფესია უფრო მოთხოვნადია და უფრო მეტი შანსი აქვთ ამ პროფესიით, რომ დასაქმდნენ“ (ექსპერტი #11)*.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ სტუდენტები: *„ჩარჩოებში არ უნდა მოვაქციოთ, უნდა მივცეთ თავისუფალი არჩევანის საშუალება. აი, ამ ასპექტში უნდა ჩანდეს სტუდენტის აკადემიური თავისუფლება“ (ექსპერტი #7)*.

შესაბამისად, სტუდენტებისთვის მცირე რაოდენობის არჩევითი კურსების შეთავაზება სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს მათ აკადემიურ თავისუფლებას. სასწავლო პროგრამები არჩევით კურსებთან ერთად პროფესორ-მასწავლებელთა ფართო არჩევანსაც უნდა სთავაზობდეს სტუდენტს, ანუ ერთსა და იმავე დისციპლინაზე რამდენიმე პროფესორს შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა.

კიდევ ერთ-ერთი შემზღუდავი ფაქტორი უნივერსიტეტების მართვაში არსებული ხელოვნური ბარიერებია. ამ შემთხვევაში ექსპერტს მხედველობაში აქვს ის ფაქტი, რომ სხვა უნივერსიტეტში აღებული კრედიტის აღიარება ბიუროკრატიული სირთულეების (აკადემიური მობილობის) გარეშე შეუძლებელია.

სტუდენტის აკადემიური თავისუფლების შეზღუდვაა, როდესაც ლექტორი *„სტუდენტს უკრძალავს სხვადასხვა წიგნიდან ცალკეული თემის მომზადებას, ანუ*

გარდა სასწავლო პროგრამით განსაზღვრული წიგნისა, კიდევ სხვა მასალების გამოყენებას“.

„სტუდენტები უნდა ჩავრთოთ პროგრამისა თუ შეფასების სისტემის შემუშავების პროცესებში. სალექციო კურსის ბოლოს უნდა შევეკითხოთ რა მოეწონათ და, რა არა, როგორ შეცვლიდნენ ამ კურსს, ანუ სტუდენტი უნდა გავხადოთ პროფესორთა თანამშრომელი და ყველა პროცესი ლექტორმა და სტუდენტმა ერთად უნდა გაიარონ. იმავე გამოცდების შემთხვევაში უნდა ვკითხოთ სტუდენტს როგორ ურჩევნია გამოცდის ჩაბარება, როდის დაწეროს და ა.შ. ესეიგი სტუდენტი მაქსიმალურად უნდა ჩავრთოთ სასწავლო პროცესში, ვითანამშრომლოთ მასთან“, - ასეთია ექსპერტთა უმრავლესობის მოსაზრება.

სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების შემზღუდავი ფაქტორი სტუდენტთა ინტერესების დამცავი მოძრაობებისა და ორგანიზაციების სისუსტეა, რის შედეგად თავიანთი აკადემიური თავისუფლების დასაცავად სტუდენტებს საჭირო გამოცდილება არ გააჩნიათ.

მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებაზე ცალსახა მსჯელობა ძნელია, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტმა, პროფესორებმა და ლექტორებმა უფრო მეტად *„უზრუნველყონ სტუდენტებში აკადემიური თავისუფლების განვითარება... რომ მეტი თავისუფლება გააჩნდეთ სტუდენტებს ამ თვალსაზრისით და მეტი ხელშეწყობა ჰქონდეთ, რომ ისეთი თემები იკვლიონ, რომლებიც მათ აინტერესებთ და არა ისეთი, რომლებიც უფრო საინტერესო არის პროფესორ-მასწავლებლებისთვის“ (ექსპერტი #11).*

გ) ქართულ უნივერსიტეტებში არსებული სტდენტთა აკადემიური თავისუფლების ხარისხისა და დონის შეფასება: ქართულ უნივერსიტეტებში სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების ხარისხისა და დონის შეფასებისას ექსპერტული ინტერვიუს მონაწილე რესპონდენტთა მოსაზრებები ორ ნაწილად გაიყო. ექსპერტთა ერთი ნაწილი კრიტიკული მოსაზრებებით გამოვიდა, ხოლო მერე ნაწილმა კრიტიკისაგან თავი შეიკავა ან პრობლემა სტუდენტებში დაინახა.

კრიტიკულად განწყობილმა რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ დღეს უნივერსიტეტებში სტუდენტს არავინ არ ესაუბრება რაში გამოიხატება მისი აკადემიური თავისუფლება და როგორ უნდა მოახდინოს მისი რეალიზება. ამას ემატება ისიც, რომ სასწავლო პროგრამების ნაწილი ჩაკეტილია ანუ სტუდენტის ინტერესებს არ პასუხობს. ამასთან, სტუდენტებს თითქმის არ აქვთ სახელმძღვანელოების არჩევის თავისუფლება. რაც შეეხება ხელმძღვანელის არჩევას საბაკალავრო, სამაგისტრო ან სადოქტორო ნაშრომების შესრულებისას, არჩევანი აქაც შეზღუდულია, რადგან ხელმძღვანელების არჩევანი მცირეა. *„სტუდენტების რაოდენობა დიდია, ხელმძღვანელებისა პირიქით“. „ასევე, ხელმძღვანელებს შეზღუდული კომპეტენციები აქვთ. შესაბამისად, რთულია სტუდენტისთვის მისი ინტერესის შესაბამისი ხელმძღვანელის პოვნა და ამის გამო, ხელმძღვანელები თვითნებურად განაპირობებენ იმ თემების დავიწროებას, რაც სტუდენტებს აინტერესებთ და ესეც პრობლემურია“ (ექსპერტი #11)*..

ყოველივე ამას ემატება ფინანსური, ეკონომიკური პრობლემებიც. კერძოდ, *„თუ უნივერსიტეტი არ ეხმარება სტუდენტებს, რომ დაძლიონ ფინანსური საკითხები, მაშინ შეიძლება არჩევანი კურსების თვალსაზრისით სტუდენტმა გააკეთოს არა ინტერესიდან გამომდინარე, არამედ იმის მიხედვით, თუ რა უფრო მოსახერხებელი იქნება მის სამუშაო პირობებთან მიმართებაში. მაგალითად, აირჩიოს ისეთი კურსი, რომელიც შაბათ-კვირას არის და არა კვირის სხვა დღეებში, იმიტომ რომ შეიძლება დამსაქმებელი ხელს არ უწყობდეს, რომ დღის განმავლობაში იმუშაოს და თან ისწავლოს“ (ექსპერტი #11).*

კრიტიკული მოსაზრებებით გამორჩეულ ექსპერტთა აზრით, ყველასათვის გასაგებია, თუ რას ნიშნავს სტუდენტის აკადემიური თავისუფლება, რომ აკადემიურ საქმიანობაში ჩართული ადამიანები მაქსიმალურად თავისუფლები უნდა იყვნენ და ა.შ. მაგრამ ამ თავისუფლებას მატერიალური, რესურსული მხარდაჭერა სჭირდება:

„იმ შემთხვევაში თუ ჩვენ გვინდა, რომ კვლევები უფრო ხარისხიანი იყოს, პროფესორები და სტუდენტები უფრო მეტად დამოუკიდებლები უნდა იყვნენ თავიანთ არჩევანში“ (ექსპერტი #3).

აღსანიშნავია, რომ ქართული უნივერსიტეტების დიდ უმრავლესობაში რესურსებით უზრუნველყოფა დღემდე უმთავრეს გამოწვევად რჩება.

ექსპერტთა დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ „არის ბევრი უნივერსიტეტი (უმთავრესად კერძო უნივერსიტეტები იგულისხმება), რომელიც სტუდენტს ეუბნება, რომ კონკრეტულ თემაზე იმუშაოს, რაც არასწორია“. სტუ-

დენტს ყოველთვის უნდა ჰქონდეს თავისუფალი სააზროვნო არეალი.

ექსპერტთა ის ნაწილი, რომელიც კრიტიკულ მოსაზრებებს მოერიდა, სცადა, რომ მთელი რიგი პრობლემები სტუდენტებში დაენახა. მაგალითად იმის აღნიშვნა, რომ სტუდენტი:

„უნივერსიტეტში თავისი ნებით, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე უნდა დადიოდეს“. ჩვენში სტუდენტთა დიდი ნაწილი მუშაობს და ამდენად ყოველდღიურ სამსახურებრივ რუტინას მიბმულს შემოქმედებითი განწყობები დაქვეითებული აქვს, სათანადოდ ვერ სწავლობს და ა.შ. ამიტომ *„სახელმწიფომ უნდა შემოიღოს შესაბამისი რეგულაციები, რომ სტუდენტის მუშაობის შეზღუდვა თუ არა რეგლამენტირება მოახდინოს“ (ექსპერტი #1, (ექსპერტი #4. (ექსპერტი #14)*.

თუმცა ამგვარი რამ შეიძლება სტუდენტის თავისუფლების შეზღუდვად იქნეს მიჩნეული. გარდა ამისა, სტუდენტმა უნდა იცოდეს, რომ მას უნივერსიტეტში ყველაფრის (რაც მას მოესურვება) კეთების უფლება არ აქვს, რასაც ზოგიერთი სტუდენტი ნაკლებად აცნობიერებს.

მიუხედავად არსებული პრობლემებისა, რომლებსაც ლოკალური ხასიათი აქვთ, ექსპერტთა დიდი ნაწილის აზრით, ქართული საუნივერსიტეტო განათლება სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების სტანდარტებს აკმაყოფილებს, თუმცა ბევრი რამ ამ სფეროში კვლავ გამოწვევად რჩება.

დ) სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების ინსტიტუციური, ორგანიზაციული და კონტექსტუალური შეზღუდვები და მათი გამოსწორების სავარაუდო გზები: ექსპერტთა აზრით: *„სტუდენტებს, გარდა იმისა, რომ თავისუფლება აქვთ, აქვთ გარკვეული ტიპის ვალდებულებაც. სტუდენტს აქვს ვალდებულება, რომ ისწავლოს, მიიღოს ცოდნა, დაექვემდებაროს არსებულ რეგულაციებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებით და ამავდროულად, ხელი შეუწყოს საკუთარ თავსაც და პროგრამასაც, რომ პროგრამით დასახული მიზნებისა და შედეგების მიღწევა იყოს სრულყოფილი“*.

სწორედ ამაში ვლინდება სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების ინსტიტუციური, ორგანიზაციული შეზღუდვა, რომელსაც ვერცერთი სტუდენტი ვერ უარყოფს. ხოლო კონტექსტუალურ შეზღუდვაში გარეგანი (სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვ.მაგ. კონფორმისტული კულტურა, ფავორიტიზმი, ზეწოლისა და კონტროლის ფარული მექანიზმები, ბიუროკრატიზმი და ა.შ. ეს ყველაფერი სახეზეა ქართულ უნივერსიტეტებში) ზეწოლა იგულისხმება.

არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად, ექსპერტების აზრით, აუცილებელია, რომ სასწავლო პროგრამები *„გაიხსნას“* და *„უნივერსიტეტთაშორისი გაცვლა გამარტივდეს“*, გაიზარდოს პროფესორების რაოდენობა *„ან სტუდენტებისა შემცირდეს“*.*„გარდა ამისა, აქტიური უნდა იყოს სტუდენტების ინფორმირებულობის მექანიზმები, რომლებიც დააფიქრებს მათ რა არის ეს თავისუფლება და როგორ უნდა გამოიყენონ იგი... გარკვეული*

პლატფორმები უნდა არსებობდეს, სადაც სტუდენტები აქტიურად გამოხატავენ თავიანთ აზრს, რომელიც გავლენას იქონიებს უნივერსიტეტში გადაწყვეტილების მიღებაზე. დღეს არსებობს რაღაც პლატფორმები ფორმალურად, მაგრამ მათი ხმა დიდად არ ისმის და სტუდენტების ინტერესებს ამ თვალსაზრისით არ გამოხატავს. შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი იყოს რაღაც კლუბების არსებობა, საინფორმაციო ფორუმების, საუნივერსიტეტო გაზეთების არსებობა, რაც დაეხმარებოდა სტუდენტებს ამ ინტერესის დაკმაყოფილებაში" (ექსპერტები: #1, 2, 3, 7, 8.)..

სასურველია მეტი ყურადღება დაეთმოს სტუდენტის პიროვნულ ზრდა-განვითარებას და ამისთვის სხვა დამატებითი ღონისძიებების გატარებას. სტუდენტი მაქსიმალურად უნდა წავახალისოთ და, რაც მთავარია, უნივერსიტეტებმა უნდა შეძლონ აკადემიური თავისუფლების ფარგლებში ძალიან ბევრი კრიტერიუმის დაკმაყოფილება; რაც შეიძლება ნაკლები უნდა იყოს ადმინისტრაციული შეზღუდვები და ბიუროკრატიზმი.

საბოლოოდ, ჩატარებული კვლევის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ფორმალურად აკადემიურ თავისუფლებას გამოკითხული ექსპერტები ერთნაირად განმარტავენ, თუმცა მათი მოსაზრებები სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებასთან დაკავშირებით განსხვავებულია.

ექსპერტებმა, რომლებიც ადმინისტრაციულ საქმიანობას ეწევიან სხვადასხვა უნივერსიტეტში, სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების კუთხით პრობლემა მთელი სისრულით ვერ დაინახეს, რაც, დიდი ალბათობით, კონ-

ფორმისტული კულტურის გამოვლინებად უნდა მივიჩ-ნიოთ.

კრიტიკულად განწყობილი ექსპერტების აზრით კი უნივერსიტეტებში სტუდენტთა აკადემიური თავისუფლე-ბის უზრუნველყოფის თვალსაზრისით მრვალი გადაუ-ჭრელი პრობლემა არსებობს, რამეთუ სახეზეა თვით-ცენზურა, კონტროლისა და ზედამხედველობის ლატენ-ტური მექანიზმები, კონფორმისტული, ფავორიტისტული კულტურა, ბიუროკრატიზმი და სხვ. ყოველივე ეს სტუ-დენტთა აკადემიური თავისუფლების რეალიზებას ხელს უშლის.

3.2.3. დოკუმენტების ანალიზი[5]

ბუნებრივია, აკადემიურ თავისუფლებას სამართ-ლებრივი შინაარსი გააჩნია, თუმცა ჩატარებული კვლევა ამ შინაარსის დეტალურ ანალიზს არ ითვალისწინებს. კვლევის ფარგლებში გარკვეულ იქნა საკითხი იმის შესა-ხებ, თუ როგორ არის წარმოდგენილი აკადემიური თა-ვისუფლება საკანონმდებლო დონეზე. ამ მიზნით შეს-წავლილ იქნა ქვეყნის კონსტიტუცია, „საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“ და მისი ქვემ-დებარე აქტები, თბილისში მოქმედი სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებელების წესდება, ეთიკის კო-დექსი, სხვადასხვა მონაცემთა ბაზაში დაცული სამართ-

[5] იხ. დანართი: გაანალიზებული დოკუმენტური მასალა.

ლებრივი დოკუმენტები, უნივერსიტეტების ვებ-გვერდები, პრესის არქივები და სხვა დოკუმენტაცია*(იხ. გაანალიზებული დოკუმენტური მასალა).*

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი კონსტიტუცია (1921 წ.) სწავლების თავისუფლებას აღიარებდა, მაგრამ ეს არ იყო აკადემიური თავისუფლების თანამედროვე გაგება, თანაც ანექსიის შედეგად სწავლის თავისუფლების კონსტიტუციური ნორმა პრაქტიკაში არ განხორციელებულა.

საბჭოთა პერიოდში სწავლა და სამეცნიერო საქმიანობა მკაცრ კონტროლს ექვემდებარებოდა და ამდენად, აკადემიურ თავისუფლებაზე მსჯელობა არასერიოზული იქნება. ამ შემთხვევაში აკადემიური თავისუფლების დარღვევისა და შეზღუდვის არაერთი თვალსაჩინო ფაქტის მოხმობა შეიძლება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მიღებულ კონსტიტუციაში (1995 წ.) სწავლებისა და კვლევის თავისუფლება მითითებული არ იყო. მდგომარეობა მოგვიანებით შეტანილი ცვლილებების შედეგად შედარებით გამოსწორდა (2006 წ.) და ქართული საგანმანათლებლო სისტემა საერთაშორისო საგამნანათლებლო სივრცეში ჩაერთო (ბოლონიის პროცესი), ხოლო 2018 წელს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილების მიხედვით, აკადემიური თავისუფლება კონსტიტუციურად აღიარეს.

ამჟამად მოქმედი საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლით აკადემიური თავისუფლება უმაღლეს დონეზეა დაცული და აღიარებულია.

კონსტიტუციით დაცული აკადემიური თავისუფლება შემდეგ კომპონენტებს მოიცავს: ა) კვლევის თავისუფლება; ბ) სწავლების თავისუფლება და გ) აზრის გამოხატვის და ქმედების თავისუფლება. ამდენად, „აკადემიური თავისუფლება ნიშნავს აზრის, კვლევის, ანალიზის, დისკუსიის, პრობლემების პრეზენტაციის, კონკრეტულ ან მომიჯნავე, მონათესავე სფეროებში არსებული თეორიების გამოკვლევის თავისუფლებას“.

სამართლებრივი გაგებით, ეს არის საკუთარი ინტერესისა და კვლევის სფეროში აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლება.

„აკადემიური თავისუფლება ლექტორსა და მკვლევარს უფლებას ანიჭებს, იკვლიოს და განსაჯოს თავისი ინტერესის სფეროს პრობლემები და გამოაქვეყნოს დასკვნები მათ შესახებ, საკუთარი მოსაზრებები და დასკვნები წარუდგინოს სტუდენტებს. ამ პროცესში ნებისმიერი სახის გარე ჩარევა დაუშვებელია“.

ცხადია, აკადემიური თავისუფლება სტუდენტსაც შეეხება. ამ შემთხვევაში „აკადემიური თავისუფლება არის სტუდენტის უფლება, ისწავლოს ნებისმიერი სახის შეზღუდვისგან თავისუფალ სასწავლო გარემოში და ამ უფლებებით ისარგებლოს ამ გარემოს ფარგლებს გარეთ“. „აკადემიური თავისუფლება სტუდენტს უფლებას ანიჭებს, მოისმინოს ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებები, ისწავლოს, თუ როგორ განასხვაოს ერთმანეთისგან ფაქტები და მოსაზრებები და ჭეშმარიტების ძიების სურვილით განიმსჭვალოს. იგი შესაძლებელს ხდის, რომ ლექტორმა და სტუდენტმა თავისი შეხედულებები ცენ-

ზურის და სამსახურიდან დათხოვნის – *ეხება პროფესორ-მასწავლებლებს*), -გარეშე გამოხატოს.

ერთი სიტყვით, სტუდენტებისთვის აკადემიური თავისუფლება ნიშნავს ცოდნისა და გამოცდილების მიღებას მათი მიდრეკილებებისა და საჭიროებების მიხედვით. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტის სტუდენტები მონაწილეობას უნდა იღებდნენ სასწავლო პროცესის მართვასა და შინაარსის ფორმირებაში. ოღონდ ეს უფლება უნივერსიტეტთან დადებულმა ხელშეკრულებამ არ უნდა შეზღუდოს.

აკადემიური თავისუფლების შესახებ არსებული საკანონმდებლო ბაზის გაცნობა ხელს უწყობს იმის გაცნობიერებას, რომ აკადემიური თავისუფლება სტუდენტს ან ლექტორს რაიმე სახის პრივილეგიას არ ანიჭებს, რასაც აკადემიური თავისუფლების ცნების დეფინიციის შემთხვევაში ხშირად არ ითვალისწინებენ. მაშინ როდესაც აკადემიურ თავისუფლებაზე არსებული იურიდიული დოკუმენტაცია მას უფლების რანგში განიხილავს, რომელიც მთელ რიგ ვალდებულებებს გულისხმობს.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში აკადემიურ თავისუფლებასთან დაკავშირებული საკვანძო საკითხები ზედმიწვენით მოწესრიგებულია. კერძოდ, განმარტებულია აკადემიური თავისუფლების ცნება და მისი შეზღუდვის სამართლებრივი პირობები. ერთმანეთისაგან გამოყოფილია აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტთა უფლებები დამოუკიდებლად განახორციელონს სწავლება, სამეცნიერო კვლევა-ძიება და სწავლა. შეზღუდვა დასაშვებია „სამეც-

ნიერო კვლევის თავისუფლებისთვის საორგანიზაციო საკითხებსა და პრიორიტეტების განსაზღვრაში; სწავლების თავისუფლებისთვის სასწავლო პროცესის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაში, ლექციების ცხრილისა და სასწავლო კურსის პროგრამების დამტკიცების საკითხებში; სწავლის თავისუფლებისთვის სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მაღალი ხარისხის სწავლების უზრუნველყოფაში. ამასთანავე, აკადემიური თავისუფლების შეზღუდვა შესაძლებელია, როდესაც სამეცნიერო კვლევის შედეგების გამოქვეყნება შეზღუდულია შრომითი ხელშეკრულებით ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას". აქედან ჩანს, რომ საკანონმდებლო დონეზე აკადემიური თავისუფლების პრინციპი ჩვენში აღიარებული და დაცულია (იხ. Kobakhidze and Samniashvili, 2022).

კონსტიტუცია ადგენს აკადემიურ თავისუფლებაში ჩარევის მექანიზმსაც, რომელსაც სამართლებრივად „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტები და პროცედურები" წარმოადგენენ. აღსანიშნავია, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესში აკადემიურ თავისუფლებას აფასებს. კერძოდ, „ავტორიზაციის მეორე სტანდარტი აკადემიური თავისუფლების დაცვის საკითხებს შეეხება. მის მიხედვით, აკადემიური თავისუფლების დაცვის შეფასების კრიტერიუმებია: ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის მარეგულირებელ აქტებში აკადემიური თავისუფლე-

ბის პრინციპების დაცვის დეკლარირება, ბ) აკადემიური თავისუფლების კონცეფციის გაზიარება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საზოგადოების (პერსონალი, სტუდენტი და სხვა) მიერ“.

2023 წელს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის აკადემიური თავისუფლების დაცვის საკითხებზე ძალზე საყურადღებო რჩევები შეიმუშავა. ამ რჩევების მიზანია უნივერსიტეტებს დაეხმაროს აკადემიური თავისუფლების დასაცავად სხვადასხვა პერსპექტივის დანახვაში, რომელიც აკადემიური თავისუფლების მნიშვნელობაზე ყურადღების გამახვილებას გულისხმობს, მით უფრო მაშინ როდესაც *„საქართველოს, როგორც ბოლონიის პროცესისა და ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის წევრქვეყანას, აკადემიური თავისუფლების, როგორც უმაღლესი განათლების ერთ-ერთი ფუნდამენტური ღირებულების მხარდაჭერისა და დაცვისთვის პასუხისმგებლობა აქვს აღებული“ (იხ.* განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რჩევები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის მხარდაჭერისათვის. თბ. 2023 წ. აგვისტო).

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული დოკუმენტის სახელწოდებაა: „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რჩევები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის მხარდაჭერისათვის“.

დოკუმენტში აღნიშნულია აკადემიური თავისუფლების მნიშვნელობა ახალი ცოდნის შექმნის პროცესში

„რადგან იგი საშუალებას აძლევს აკადემიურ პერსონალს, განახორციელონ კვლევები და მოახდინონ კვლევის შედეგების დისემინაცია ყოველგვარი – იდეოლოგიური, სუბიექტურ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებული, პოლიტიკური შეხედულებების, მრწამსის დაფიქსირებისა და ასევე კულტურული თავისებურებების თუ სხვა ფორმის გავლენებით გამოწვეული ფაქტორების გარეშე“.

ნავარაუდევია, რომ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რჩევები დაეხმარება უნივერსიტეტებს უკეთ შეაფასონ აკადემიური თავისუფლების საფრთხეები და უფრო სისტემურად და თანმიმდევრულად მიუდგნენ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ამ საფრთხეებისაგან დაცვის საკითხს. ეს რჩევებია (მოტანილია უცვლელად):

- *„აკადემიური თავისუფლების დაცვისათვის მნიშვნელოვანია ისეთი აკადემიური გარემოს შექმნა, რომელიც წაახალისებს ინტელექტუალური და შემოქმედებითი პროცესების პატივისცემის კულტურის დამკვიდრებას და მის განვითარებას. აღნიშნული გულისხმობს სტუდენტებისა და აკადემიური საზოგადოების წევრების მიერ იდეების ფართო სპექტრისა და სხვადასხვა პერსპექტივების გამოხატვის წახალისებას (ინტელექტუალური და შემოქმედებითი პროცესების პატივისცემის კულტურა გულისხმობს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მრავალფეროვანი კულტურული, მსოფლმხედველობრივი, სოციალური და ა.შ. შეხედულებების თანაარსებობას, თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობას და მის პატივისცემას);*

- *მნიშვნელოვანია, აკადემიური პერსონალის მიერ აკადემიური თავისუფლების აღქმა ეფუძნებოდეს დარგის უახლეს მიღწევებს, დარგის პროფესიულ ეთიკას, სწავლების საფეხურის მოთხოვნებს, დიდაქტიკის საუკეთესო პრაქტიკასა და ანგარიშვალდებულების გაზიარებისა და პატივისცემის პრინციპებს.*
- *აკადემიური თავისუფლების დასაცავად მნიშვნელოვანია ღია და სიღრმისეული აკადემიური დებატების კულტურის წახალისება გარკვეულ სამეცნიერო პრობლემურ საკითხებზე, რაც ინტელექტუალური ცოდნის განვითარებისათვის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა;*
- *აკადემიური თავისუფლების დასაცავად საჭიროა ინსტიტუციის მარეგულირებელი დოკუმენტების გარდა არსებობდეს კონკრეტული ქმედითი მექანიზმები, რომლებიც დაიცავენ სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს არაპოპულარული ან საკამათო შეხედულებების გამოხატვის შემთხვევაში არასასურველი შედეგებისაგან;*
- *აკადემიური თავისუფლების დასაცავად ასევე მნიშვნელოვანია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ინფორმირება აკადემიური თავისუფლების შეზღუდვის არსებულ ან მოსალოდნელ საფრთხეებზე;*
- *გასათვალისწინებელია, რომ აკადემიური თავისუფლება და მისი შეზღუდვის საფრთხე შესაძლოა სხვადასხვაგვარად იყოს აღქმული აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მიერ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა*

გაითვალისწინონ ეს თავისებურება. მაგალითად, საერთაშორისო პრაქტიკაში დადასტურებულია, რომ უვადოდ დანიშვნის კონტრაქტის ე.წ. ტენუარის მქონე აკადემიური პერსონალი უფრო მეტად გრძნობს თავს დაცულად აკადემიური თავისუფლების შეზღუდვის საფრთხეებისგან, ვიდრე სხვა ტიპის კონტრაქტით დასაქმებული პერსონალი;

- *აკადემიური თავისუფლების ხარისხის დასადგენად, ინსტიტუციებმა ასევე, შეიძლება შეიმუშაონ ორგანიზაციული გარემოს შეფასების კითხვარი, რაც მათ დაეხმარება, სიღრმისეულად შეისწავლონ აკადემიური თავისუფლების კონტექსტი, პერსონალისა და სტუდენტების სხვადასხვა ჯგუფების პერსპექტივები და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყონ სათანადო რეაგირება. სხვადასხვა პერსპექტივის დასანახად, ასევე შესაძლებელია ფორუმების ორგანიზება აკადემიური თავისუფლების კონცეფციისა და მასთან დაკავშირებული მოსაზრებების განხილვის მიზნით (ამის ერთ-ერთი მაგალითია King's College London-ის 2023 წლის დისკუსიების სერია აკადემიურ თავისუფლებაზე).*
- *აუცილებელია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ინფორმირება აკადემიური თავისუფლების არსისა და მისი დაცვის მიზნით მათი უფლებების შესახებ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მუდმივი ზრუნვა აკადემიური თავისუფლების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. ამ კუთხით კარგ მაგალითებს წარმოადგენს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებული აკადემიური ჟურნალები და*

მიმდინარე კვლევები აკადემიურ თავისუფლებაზე, ასევე ქვეყნების დონეზე აკადემიური თავისუფლების შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები, მაგ: აკადემიური თავისუფლების გლობალური ინდექსი (the Academic Freedom Index), ევროპის უნივერსიტეტების მიერ განხორციელებული უნივერსიტეტების ავტონომიის კვლევის ანგარიში (Autonomy Scorecard 2023), რომელიც მოიცავს მდგომარეობის მიმოხილვას ევროპის ქვეყნებში აკადემიური თავისუფლების დაცვის კუთხით (ბოლონიის იმპლემენტაციის სამუშაო ჯგუფის რესურსები, რომელიც მუშაობს ევროპული უმაღლესი განათლების სივრცეში განათლების ფუნდამენტური ღირებულებების საკითხებზე).

- *საგულისხმოა, რომ საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ ხაზს უსვამს რომ აკადემიური თავისუფლება შესაძლოა აბსოლუტურად შეუზღუდავი არ იყოს და ადგენს მიზნებს, როცა მისი შეზღუდვა დასაშვებია. კანონის მიხედვით, აკადემიური თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ შემდეგი მიზნებისათვის: ა) სამეცნიერო კვლევის თავისუფლებისათვის – საორგანიზაციო საკითხებსა და პრიორიტეტების განსაზღვრაში; ბ) სწავლების თავისუფლებისათვის – სასწავლო პროცესის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაში, ლექციების ცხრილისა და სასწავლო კურსის პროგრამების დამტკიცების საკითხებში; გ) სწავლის თავისუფლებისათვის – სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მაღალი ხარისხის სწავლების უზრუნველყოფაში; დ) იმ შემთხვევაში, როდესაც სამეც-*

ნიერო კვლევის განხორციელება და ამ კვლევის შედეგების გამოქვეყნება შეზღუდულია შრომითი ხელშეკრულებით ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას.

- *აკადემიური თავისუფლების ზემოთ ხსენებული მიზნებით შეზღუდვის შემთხვევაში მნიშვნელოვანია უზრუნველყოფა იმისა, რომ შეზღუდვა იყოს გონივრული, სამართლიანი და ემსახურებოდეს პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირებას, რომელშიც აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების უფლებები დაცულია და მათი კეთილდღეობა გარანტირებულია"(იხ. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რჩევები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის მხარდაჭერისათვის, თბ. 3 აგვისტო 2023 წ.).*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული რჩევები აკადემიური თავისუფლების დასაცავად ყურადღებას ამახვილებს სხვადასხვა აქტორების როლსა და მნიშვნელობაზე. ეს აქტორებია:

ა) სახელმწიფო,

ბ) უნივერსიტეტები,

გ) უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალი,

დ) ადმინისტრაციული პერსონალი და

ე) საზოგადოება.

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, სხვადასხვა აქტორების ვალდებულებები და პასუხისმგებლობები შემდეგნაირად არის განაწილებული:

*ა) „**სახელმწიფოს** ვალდებულებაა საკანონმდებლო და პოლიტიკის დონეზე აკადემიური თავისუფლების საჭიროების დეკლარირება და მისი მხარდაჭერა სამართლებრივი დაცვის მექანიზმებით, რაც შესაძლოა მოიცავდეს აკადემიური თავისუფლების დაცვას, აკადემიური თავისუფლების მხარდაჭერას საერთაშორისო აკადემიურ პროექტებში და ა.შ.*

*ბ) **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების** პასუხისმგებლობაა ისეთი გარემოს შექმნა ინსტიტუციის შიგნით, რომელიც განამტკიცებს აკადემიურ თავისუფლებას და უზრუნველყოფს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის დაცვას აკადემიური თავისუფლების შეზღუდვისაგან შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტებითა და პრაქტიკით;*

*გ) **აკადემიური წრეების** როლი და მოვალეობაა აკადემიური თავისუფლების ფარგლებში პასუხისმგებლობის პრინციპების გათვალისწინება და კოლეგებისა და სტუდენტების აკადემიური თავისუფლების დაცვა, ღია სამეცნიერო დებატებში მონაწილეობით და საჭიროების შემთხვევაში სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით;*

*დ) უსდ-ების **ადმინისტრაციული პერსონალის** როლი და მოვალეობაა აკადემიური თავისუფლების შესახებ რეგულაციების პრაქტიკაში რეალური განხორციელება, აკადემიური თავისუფლების მხარდაჭერა შესაბამისი რესურსების უზრუნველყოფით (მაგ. რესურსების მოძიებით, ვორქშოფების/დისკუსიის პლატფორმების ორგანიზებით სტუდენტებისა და აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალისათვის აკადემიური თავისუფლების შესახებ*

ცნობიერების ასამაღლებლად). ასევე უსდ-ების ადმინისტრაციული პერსონალის მოვალეობები უნდა მოიცავდეს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის აკადემიური თავისუფლების შეზღუდვისა და აკადემიური ცენზურის შემთხვევებზე რეაგირებას და ინდივიდების მხარდაჭერას მსგავს შემთხვევებში. ადმინისტრაციული პერსონალი მხარს უნდა უჭერდეს ღია დიალოგსა და დებატების კულტურას ინსტიტუციის ფარგლებში;

ე) ***საზოგადოება*** *უნდა აცნობიერებდეს აკადემიური თავისუფლების მნიშვნელობას და როლს დემოკრატიის განვითარებაში და აღიარებდეს მას, როგორც აუცილებელ წინაპირობას ახალი ცოდნის შექმნისა და განვითარებისათვის. აკადემიური თავისუფლების დასაცავად მნიშნელოვანია საზოგადოებაში წახალისებული იყოს ღია დიალოგი და საჯარო დებატები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და საზოგადოებას შორის, რაც გულისხმობს საკითხების სხვადასხვა პერსპექტივიდან განხილვის მნიშვნელობის აღიარებას, ასევე ნდობის არსებობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ, და მათი როლის აღიარებას მეცნიერების განვითარებასა და საზოგადობაში არსებული გამოწვევების დაძლევაში“.*

ამ შემთხვევაში მოტანილი დოკუმენტური მასალა კიდევ ერთხელ ამყარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ აკადემიური თავისუფლების შესახებ საკანონმდებლო ბაზის მხრივ ჩვენში ყველაფერი რიგზეა. თუმცა არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ აკადემიური თავისუფლების დასაცავად სპეციალური რჩევების

შემუშავება ქვეცნობიერად იმაზე მიანიშნებს, რომ ამ სფეროში მთელი რიგი პრობლემია! სხვა შემთხვევაში მსგავსი დოკუმენტის საჭიროება არ იარსებებდა.

რაც შეეხება სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების წესდებას, ეთიკის კიდექსს, თანამშრომლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებს და სხვა მსგავს დოკუმენტებს (რომლებიც ხელმისწავდომია მათი ვებ-გვერდების მეშვეობით) ყველა მათგანში სათანადოდ არის წარმოდგენილი აკადემიური თავისუფლების დაცვა. ერთია მხოლოდ, მათი უმრავლესობა ძირითად აქცენტს აკადემიურ პერსონალზე აკეთებს, ვიდრე სტუდენტებზე.

გარდა ამისა, არის შემთხვევები, როდესაც უნივერსიტეტების ეთიკის საბჭოები მხოლოდ ფორმალურად ფუნქციონირებენ, რადაგან ეთიკის საბჭოზე სტუდენტის ან აკადემიური პერსონალის აკადემიური თავისუფლების დარღვევის ან შეზღუდვის და მასზე რეაგირების ფაქტი არც ერთხელ არ დაფიქსირებულა, თუმცა ეს, ამ სფეროში მთელი რიგი პრობლემების არსებობას სულაც არ გამორიცხავს.

დასკვნა

მიღებული ემპირიული კვლევის შედეგების კონცეპ-ტუალურ - თეორიულ ჩარჩოსთან სინქრონიზების შედეგად აღმოჩნდა, რომ ქ. თბილისში არსებული სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს აკადემიური თავისუფლების *დემოკრატიული გაგება* გააჩნიათ, რომლის მიხედვით, აკადემიური თავისუფლება სამოქალაქო თავისუფლების ნაირსახეობას წარმოადგენს, ვიდრე საგანმანათლებლო აქტორების კორპორატიულ უფლებას *(აკადემიური თავისუფლების ელიტური თეორია)* ან აკადემიურ ფუნქციათა შესრულებაზე პასუხისმგებლობას *(აკადემიური პასუხისმგებლობის კონცეფცია)* ანუ ამ შემთხვევაში სახეზეა აკადემიური თავისუფლების დემოკრატიული კონცეფცია.

რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტთა აკადემიური თავისუფლება საკანონმდებლო თვალსაზრისით (საქართველოს კონსტიტუცია, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, უნივერსიტეტების წესდება და ეთიკის კოდექსი და სხვა კანონქვემდებარე აქტები) თანამედროვე სტანდარტების დონეზეა წარმოდგენილი და დაცული, რასაც ვერ ვიტყვით სტუდენტთა ყოველდღიურ ცხოვრებისეულ პრაქტიკაზე, რომელშიც სტუდენტები არაერთ მწვავე პრობლემას აწყდებიან. მათგან უმთავრესია კონტროლისა და ზედამხედველო-

ბის ლატენტური მექანიზმები, კონფორმისტული, ფავორიტისტული კულტურის ელემენტები, ბიუროკრატიზმი და სხვ.

გარდა ამისა სტუდენტებს თავიანთი აკადემიური თავისუფლების შესახებ სრულყოფილი ცოდნა არ გააჩნიათ, ამიტომ აუცილებელია თითოეულმა სასწავლო დაწესებულებამ სიღრმისეულად შეისწავლოს სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების კონტექსტი, საუნივერსიტეტო ბიუროკრატიისა და სტუდენტების სხვადასხვა ჯგუფების პერსპექტივები და საჭიროების შემთხვევაში რეაგირების სათანადო მექანიზმები შეიმუშაოს.

რეკომენდაციები

აკადემიური თავისუფლების შესახებ ქართველი სტუდენტების ცოდნის დონის ამაღლებისა და პრაქტიკული გამოცდილების გაღრმავებისა და საერთაშორისო დონესთან მიახლოების მიზნით, სასურველია:

- უნივერსიტეტებმა სიღრმისეულად შეისწავლონ სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების კონტექსტი, საუნივერსიტეტო ბიუროკრატიისა და სტუდენტების სხვადასხვა ჯგუფის პერსპექტივები და საჭიროების შემთხვევაში შეიმუშაონ სათანადო რეაგირების მექანიზმები.
- სპეციალური ბუკლეტების, გზამკვლევების დაბეჭდვა და სტუდენტებისთვის დარიგება;
- თავისუფალი კრედიტის ფარგლებში აკადემიური თავისუფლების შესახებ სპეციალური საგანმანათლებლო კურსის შემოღება;
- არჩევითი საგნებისა და თავისუფალი კრედიტების რაოდენობის გაზრდა.
- სტუდენტების მიერ მათთვის სასურველი საგნის ლექტორის არჩევის უზრუნველყოფა.
- სასურველია ინტელექტუალური და სპორტული ღონისძიებები არ იყოს მხოლოდ სარეკლამო ან პრივატული ხასიათის და უმთავრესად მიმართული იყოს სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფაზე.

- კერძო უნივერსიტეტების მიერ საგანმნათლებლო პროგრამების რაოდენობის გაზრდა.
- სასწავლო პროცესის მართვისა და ორგანიზების საქმეში და შეფასების სისტემის შემუშავებაში სტუდენტების ჩართულობის უზრუნველყოფა.
- სტუდენტებთან ურთიერთობაში ეთიკის პრინციპების მაქსიმალური დაცვა.
- სტუდენტების აკადემიურ თავისუფლებაზე დისკუსიებისა და დებატების გამართვა.
- სტუდენტთა თემატური სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება;
- კონტროლისა და ზედმახედველობის ლატენტური მექანიზმების შერბილება;
- კონფორმისტული და ფავორიტისტული კულტურის ელემენტების აღმოფხვრა;

გამოყენებული ლიტერატურა

1. დიუი, ჯ. (2010). დემოკრატია და განათლება, თბ. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
2. დვალი, გ. (2012). კონცეფცია - აკადემიური თავისუფლება, ჟურნ. ლიბერალი, 26 ოქტომბერი.
3. ობოლაძე, ნ. (2013). განათლების სისტემაში განხორციელებული 10 წლიანი ცვლილებების ანალიზი. თბილისის უნივერსიტეტი, N17, გვ.3-4 5.
4. სამნიაშვილი, ლ. (2017). ქართული უნივერსიტეტების ფუნქციონირების ძირითადი განზომილებები და მათში მიმდინარე პროცესები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_medicine/sheina_ganacesi_09.pdf
5. ქეცბაია, კ. (2015). მეცნიერების სოციოლოგია, თბ. გამ. უნივერსალი.
6. ხოფერია, რ. (2021). აკადემიური თავისუფლება როგორც კონსტიტუციით გარანტირებული უფლება (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი გერმანიის, აშშ-ის და საქართველოს მაგალითზე), საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი (სპეციალური გამოცემა - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ბათუმი.
7. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების რეფორმის კონცეფცია დაარქივებული 2016-03-05 საიტზე Wayback Machine.
8. Association of American University Professors (2014). Recommended Principles to Guide Academy-Industry Relationships. Univesity of illinois Press.
9. American Association of University Professors (1944). On the Relationship of Faculty Governance to Academic Freedom. Statement adopted by the Association’s Council (1994).
10. American Association of University Professors (AAUP). (1940). 1940 statement of principles on academic freedom and tenure with 1970

interpretive comments. In policy documents & reports (9th ed. 2001). Available May 14, 2019, from https://www.aaup.org/report/1940-statement-principles-academic-freedomand-tenure.

11. American Association of University Professors (AAUP). (1915). 1915 Declaration of Principles on Academic Tenure.
12. Altbach, G. (2001). Academic freedom: International realities and challenges, Center for International Higher Education, Boston College.
13. Bok, D. (1982). Beyond the Ivory Tower: Social responsibilities of the modern university. Cambridge: Harvard University Press.
14. Bourdieu, P. (1988). Homo Academicus, Stanford, California.
15. Boyer, J W.(2002). Academic Freedom and the Modern University, Chicago.
16. Dworkin, R. (1996). We Need a New Interpretation of Academic Freedom, Chicago.
17. Fichte J.G. (1807). Deducirter Plan einer zu Berlin zu errichtenden höheren Lehranstalt, Leipzig.
18. Kayrooz, C. Akerlind S (2003), Understanding Academic Freedom: The views of social scientists, Higher Education Research & Development Vol. 22, No. 3, November.
19. Karran, T. (2009). Academic Freedom: In Justification of a Universal Ideal, Studies in Higher Education, Vol. 34, No. 2.
20. Karki, C.B. (2015). Academic Freedom for Faculty Members and Students, Oslo.
21. Keith, K. (1996). Faculty Attidudes Toward Academic Freedom: Tenure, Teaching and Re search Doctoral Dissertation, University of Southern California.
22. Mamatsashvili, M (2019). Researching academic freedom: A case of Tbilisi State University. Unpublished MA dissertation. [in Georgian]. Retrieved from: http://openscience.ge/bitstream/1/860/1/samagistro%20mamatsashvili.pdf?fbclid=IwAR0p4mhj9T7SPQSOM7aJuojQ-4mv7EP-7z-GRbikyRKkNWsPx2lvxEk6PEI

23. Haddon, A. (1987). Academic Freedom and Governance: A Call for Increased Dialogue and Diversity. Texas Law Review.
24. Haskell,T. (1996).Justifying the Rights of Academic Freedom in the Era of 'Power/Knowledge.In The Future of Academic Freedom,Edited by Louis Menand, University of Chicago Press.
25. Jackson, L. (2021). Academic freedom of Students, in Educational Philosophy and Theory, Vol. 53. Hong kong.
26. Kobakhidze, N, Samniashvili, L. (2022). Less USSR, more democracy please!" Hope and discontent in Georgia's quest for academic freedom, Including Special Issue on Academic Freedom in the Re-Imagined Post-Humboldtian Europe, Volume76, Issue3.
27. Guinness, K. (2002). The Concept of Academic Freedom. New York.
28. Manan, W. (2000). Academic Freedom: Ethical Implications and Civic Responsibilities. In The Universities' Responsibilities to Society: International Perspectives, ed. Guy Neave, Kidlington: Elsevier Science.
29. Menand, L. ed. 1996. *The Future of Academic Freedom.* Chicago: University of Chicago Press.
30. Osieja, H. (2016). Academic Freedom: Foundations, Limitations and delimitations, 8th International Conference on Education and New Learning Technologies, 4-6 July, Barcelona.
31. Rorty, R. (1996). Does academic freedom have philosophical presup-positions? The future of academic freedom. Chicago: University of Chicago Press.
32. Rorty, A.O. (1972). Dilemmas of academic and intellectual freedom. In E. Pincoffs (Ed.), The concept of academic freedom (pp. 97-110). Austin: University of Texas Press.
33. Johnsen, J. (1936). Freedom of Speech, Harvard Law Review 81 (5).
34. Sheppard, S. (2012). Academic Freedom: A Prologue, Arkansas Law Review 2.
35. Tisdel, R. (1968). Academic Freedom – Its Constitutional Context, University of Colorado Law Review 40 (4).
36.

37. Scott J. (1996). Academic Freedom as an Ethical Practice. In The Future of Academic Freedom,Edited by Louis Menand, University of Chicago Press.
38. Sunstein, C.R. (1996). Academic freedom and law: Liberalism, speech codes, and related problems, Chicago.
39. Shiell, T.C. (2006). Three conceptions of academic freedom. Stanford University Press.
40. Tierney,G, Lechuga V. M. (2005). Academic Freedom in the 21st Century, National Education Association. Washington.
41. Tight, M. (1988). So what is academic freedom? In M. Tight (Eds.), Academic freedom and responsibility. Stony Stratford: Open University Press.
42. Zaalishvili, T. (2013). *University Autonomy and Academic Freedom.* International Institute of Education Policy, Planning and Management. [in Georgian]. Retrieved from http://www.tafu.edu.ge/files/pdf/xarisxi/ESG/HE-platforma/1-University-Authonomy-and-Academic-Freedom-Tamar-Zaalishvili.pdf
43. Weber, M. (2004). Science as a Vocation, Kalifornia.
44. Берлин, И. (1998). Две концепции свободы, М.
45. Бок, Д. (2003). Плюсы и минусы коммерциализации, Отечественные записки. №6 (15).
46. Бок, Д. (1993). Университеты и будущее Америки, М.
47. Бэкон, Ф. (1970). О достоинстве и приумножении наук, Сочинения. В 2-х т. М., ტ. 1;
48. Гумбольдт, В. (2002). О внутренней и внешней организации высших научных заведений в Берлине, М.
49. Гоббс, Т. (1989). О гражданине, Сочинения в 2 т. ტ. 1.М.
50. Деррида, Ж. (2003). Университет глазами его питомцев, Отечественные записки. № 6 (15).М.
51. Кант, И. (1996). Спор факультетов, Сочинения в 6 тт. - М. ტ. 6.
52. Локк, Дж.(1988). Мысли о воспитании, Сочинения в трех томах: М. Мысль. ტ. 3.

53. Локк, Дж.(1988). Мысли о том, что читать и изучать джентльмену, М. Мысль. ѿ. 3.
54. Ортега-и-Гассет Х. (2005). Миссия университета, Мн.
55. Фуллер, С. (210). Оправдана ли цена академической свободы? Логос-Пресс. Экономическое обозрение, № 25.
56. Фуллер, С. (2002). В чем уникальность университетов? обновление идеала в эпоху предпринимательства / Вопросы образования. №5.
57. Хайдеггер, М. (1993). Самоутверждение немецкого университета, Работы и размышления разных лет. М.
58. Хабермас, Ю. (1994). Идея университета. Процессы обучения // Almamater. Вестниквысшейшколы. №4.М.
59. Хаммерштейн, Н. (1999). Университет в Новое время: отношение с властью, Вестник высшей школы. №10.
60. Ясперс, К. (2006). Идея университета. Минск.

ცხრილები, დიაგრამები

ცხრილი #1: რესპონდენტთა შერჩევის კრიტერიუმები.

	1 – 2 კურსელი	2 – 4 კურსელი	მდედრ.	მამრ.		
სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები	200	200	200	200		
კერძო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები	200	200	200	200		

სახ. უნივერსიტეტები	**1-2 კურსი**	**3-4 კურსი**		
თსუ	**100**	**100**		
საქ. ტექნიკური უნივერსიტეტი	**45**	**45**		
სოხუმის სახელმწიფო უნივერსი-ტეტი	**30**	**30**		
ილიას სახელმწიფო უნივერსიტე-ტი	**20**	**20**		
სახელმწ. სამედიცინო უნივერსი-ტეტი	**5**	**5**		

კერძო უნივერსიტეტები	1-2 კურსი	3-4 კურსი		
სდასუ	55	55		
ჯიპა	20	20		
ალტე	35	35		
გრ. რობაქიძის უნუნივერსი-ტეტი (ალმა-მატერი)	35	35		
კავკასიის უნივერსიტეტი	55	55		

სტუდენტის უფლებაა აირჩიოს საგნები და საკუთარი სურვილისამებრ წარმართოს სასწავლო პროცესი (სემესტრი):



(დიაგრამა 2).

სტუდენტს შეუძლია თავად აირჩიოს მისთვის სასურველი საგნის ლექტორი/საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტს სთავაზობს ლექტორების სიას, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალობის მრავალმხრივ დაუფლებას:



(დიაგრამა 3).

სტუდენტები ჩართული არიან სასწავლო პროცესის მართვისა და ორგანიზების საქმეში/სტუდენტები ჩართული არიან შეფასების სისტემის შემუშავებაში:



(დიაგრამა 4).

კვლევის პროცესში თვითონ ირჩევს მისთვის საინ-ტერესო საკვლევ თემას/თემის ხელმძღვანელს/ კვლევის მეთოდებს/საჭირო ლიტერატურას:



(დიაგრამა 5).

სტუდენტს საშუალება აქვს, ბაკალავრიატის დონეზე, ერთდროულად დაეუფლოს ორ პროფესიას/ მეიჯორი/მაინორი სპეციალობის საფუძველზე სამაგისტრო პროგრამების ფართო არჩევანი აქვს:



(დიაგრამა 6).

სტუდენტს საშუალება აქვს: თავისი პუბლიკაციები/სტატიები/ესეები დაბეჭდოს უნივერსიტეტის გამომცემლობაში/კონკურსის საფუძველზე სემესტრული სტიპენდია მიიღოს/მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა კონფერენციაში/ინტელექტუალურ და სპორტულ შეჯიბრებაში/გაწევრიანდეს სტუდენტურ კლუბებში ან ჩამოაყალიბოს (კანონის ფარგლებში) ასოციაცია/კლუბი/ უკმაყოფილების შემთხვევაში, ადმინისტრაციულ ერთეულებს მიმართოს/მონაწილეობა მიიღოს სტუდენტური თვითმართველობის საქმიანობაში.



(დიაგრამა 7).

სტუდენტები ინფორმაციას მათი უფლებებისა და აკადემიური თავისუფლების შესახებ იგებენ:



(დიაგრამა 8).

სტუდენტს უნივერსიტეტში აქვს აზრის საჯაროდ და თავისუფლად გამოთქმის საშუალება/გამოხატვის სრული თავისუფლება.



(დიაგრამა 9).

სტუდენტს უნივერსიტეტში აქვს რაც სურს იმის კეთების თავისუფლება



(იხ. დიაგრამა 10).

სქესი



(დიაგრამა 1).

სტუდენტის უფლებაა აირჩიოს საგნები და საკუთარის სურვილისამებრ წარმართოს სასწავლო პროცესი (სემესტრი):



(დიაგრამა 2a).

სტუდენტს შეუძლია თავად აირჩიოს მისთვის სასურველი საგნის ლექტორი/ საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტს სთავაზობს ლექტორების სიას, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალობის მრავალმხრივ დაუფლებას:



(დიაგრამა 3a).

სტუდენტები ჩართული არიან სასწავლო პროცესის მართვისა და ორგანიზების საქმეში/სტუდენტები ჩართული არიან შეფასების სისტემის შემუშავებაში:



(დიაგრამა 4a).

კვლევის პროცესში თვითონ ირჩევს მისთვის საინ-ტერესო საკვლევ თემას/თემის ხელმძღვანელს/ კვლევის მეთოდებს/საჭირო ლიტერატურას:



(დიაგრამა 5a).

სტუდენტს საშუალება აქვს, ბაკალავრიატის დონეზე, ერთდროულად დაეუფლოს ორ პროფესიას/მეიჯორი/მაინორი სპეციალობის საფუძველზე სამაგისტრო პროგრამების ფართო არჩევანი აქვს:



(დიაგრამა 6a).

A8. სტუდენტს საშუალება აქვს: თავისი პუბლიკაციები/სტატიები/ესეები დაბეჭდოს უნივერსიტეტის გამომცემლობაში/კონკურსის საფუძველზე სემესტრული სტიპენდია მიიღოს/მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა კონფერენციაში/ინტელექტუალურ და სპორტულ შეჯიბრებაში/გაწევრიანდეს სტუდენტურ კლუბებში ან ჩამოაყალიბოს (კანონის ფარგლებში) ასოციაცია/კლუბი/უკმაყოფილების შემთხვევაში, ადმინისტრაციულ ერთეულებს მიმართოს/მონაწილეობა მიიღოს სტუდენტური თვითმართველობის საქმიანობაში.



(დიაგრამა 7a).

სტუდენტები ინფორმაციას მათი უფლებებისა და აკადემიური თავისუფლების შესახებ იგებენ:



(დიაგრამა 8a).

სტუდენტს უნივერსიტეტში აქვს აზრის საჯაროდ და თავისუფლად გამოთქმის საშუალება/გამოხატვის სრული თავისუფლება.



(დიაგრამა 9a).

სტუდენტს უნივერსიტეტში აქვს რაც სურს იმის კეთე-ბის თავისუფლება.



(დიაგრამა 10a).

A1. სქესი



(დიაგრამა 1a).

ცხრილი #2: რესპონდენტთა შერჩევის კრიტერიუმები

	1 – 2 კურსელი	2 – 4 კურსელი	მდედრ.	მამრ.		
სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები	10	10	10	10		
კერძო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები	10	10	10	10		

სახ. უნივერსიტეტები	1-2 კურსი	3-4 კურსი		
თსუ	5	5		
საქ. ტექნიკური უნივერ-სიტეტი	1	1		
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1	1		
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	2	2		
სახელმწ. სამედიცინო უნივერსიტეტი	1	1		

კერძო უნივერსიტეტები	1-2 კურსი	3-4 კურსი	
სდასუ	2	2	
ჯიპა	2	2	
ალტე	2	2	
გრ. რობაქიძის უნუნი-ვერსიტეტი (ალმა-მა-ტერი)	2	2	
კავკასიის უნივერსიტე-ტი	2	2	

ექსპერტთა სია

№ ინტერვიუ	**პროფესიული სტატუსი**
1	განათლების მეცნ. წარმომადგენელი პედაგოგიურ მეცნ. დოქტ. პროფ.
2	თსუ-ს ყოფილი რექტორი ეკონომიკურ მეცნ. დოქტ. პროფ.
3	ფილოსოფიის მეცნ. დოქტ. პროფ.
4	ფილოსოფიის მეცნ. დოქტ. პროფ.
5	კერძო უნივერსიტეტის ფაკულტეტის დეკანი, სოციოლოგიის დოქტ. პროფ.
6	ერთ-ერთი კერძო უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი, სოციოლოგიის დოქტ. პროფ.
7	თსუ-ს ერთ-ერთი ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, ფსიქოლოგიის მეცნ. დოქტ. პროფ.
8	თსუ-ს ერთ-ერთი ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, ანთროპოლოგიის დოქტ. ასოც. პროფ.
9	ფილოსოფიის მეცნ. დოქტ. პროფ. სოციოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი

10	განათლების ექსპერტი
11	განათლების ექსპერტი
12	სოხუმის სახ. უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფა-კულტეტის დეკანის მოადგილე, ასოც. პროფ.
13	სოხუმის სახ. უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფა-კულტეტის დეკანის მოადგილე, ფილოსოფიის დოქტ. ასოც. პროფ.
14	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, ასოც. პროფ.
15	ჰონ კონგის (ჩინეთი) უნივერსიტეტის განა-თლების ფაკულტეტის ასოც. პროფესორი

გაანალიზებული დოკუმენტური მასალა

1. საქართველოს 2018 წლის 23 მარტის კონსტიტუციური კანონი.
2. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, მუხლი 109. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის პირველადი რედაქცია, მუხლი 35.
3. „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კონსტიტუციური კანონი, კონსტიტუციის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტი.
4. საქართველოს 2018 წლის 23 მარტის კონსტიტუციური კანონი.
5. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი დ ამე-3 მუხლისმე-4 პუნქტი.
6. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-3 და მე-4 თავები.
7. King's College London-ის 2023 წლის დისკუსიების სერია აკადემიურ თავისუფლებაზე.
8. აკადემიური თავისუფლების გლობალური ინდექსი the Academic Freedom Index.
9. ევროპის უნივერსიტეტების მიერ განხორციელებული უნივერსიტეტების ავტონომიის კვლევის ანგარიში Autonomy Scorecard, 2023.
10. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი (2009). https://www.tsu.ge/data/file_db/iuridiuli_cnobari/etika_09.pdf
11. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები. https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_medicine/sheina_ganacesi_09.pdf
12. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება. https://old.gtu.ge/AboutStu/regulation.php
13. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება.

https://www.sou.edu.ge/content/2/61/0/0/0
14. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდება.
https://tsmu.edu/ts/axa.php?lang=ge&id=1347
15. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება.
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2014535?publication=0
16. ჯიპას - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის წესდება.
https://gipa.ge/res/docs/1.%E1%83%AF%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-09.01.2020FINAL.pdf
17. კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსი.
https://cu.edu.ge/files/gallery/2020/%E1%83%9C%E1%83%9D%%98.pdf
18. ალტე უნივერსიტეტის დებულება.
https://alte.edu.ge/storage/files/38-alte-universitetis-debuleba.pdf
19. გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის წესდება.
https://www.gruni.edu.ge/menu_content/index/272
20. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის დებულება.
https://sdasu.edu.ge/wp-content/uploads/2022/03/542b4ddfaa36261249c21cfd4407b487.pdf